ENTERPRISE.GOV.GE



პროგრამების ეკონომიკური ზეგავლენის ანგარიში

2022

ინოვაციური საქართველოში

შინაარსი

შესავალი 3
მიზანი 3
მეთოდოლოგია 3
სააგენტოს პორტფელი გავლენის შეფასებისთვის 3
1. პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილი 4
1.1 პროგრამის აღწერა 4
1.2 მეთოდოლოგია 4
1.2.1 ინდიკატორების კატალოგის შემუშავება 4
1.2.2 მონაცემთა შეგროვების პროცესი 6
1.2.3 მონაცემების დახარისხება 7
1.3 ინდიკატორების გამოთვლა, ანალიზი და შეფასება 8
1.3.1 გავლენის დონე 8
1.3.2 დეპარტამენტის დონე 33
2. ექსპორტის მხარდამჭერი აქტივობები 44
2.1 აქტივობების აღწერა 44
2.2 მეთოდოლოგია 44
2.2.1 ინდიკატორების კატალოგის შემუშავება 44
2.2.2 მონაცემთა შეგროვების პროცესი 45
2.2.3 მონაცემების დახარისხება 46
2.3 ინდიკატორების გამოთვლა, ანალიზი და შეფასება 46
2.3.1 გავლენის დონე 46
2.3.2 დეპარტამენტის დონე 49

შესავალი

სააგენტო ახორციელებს პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილს და ექსპორტის მხარდაჭერის აქტივობებს. მათი მიზანია მცირე და საშუალო, ასევე ექსპორტზე ორიენტირებული ქართული კომპანიების მხარდაჭერა. ინდუსტრიული ნაწილის ბენეფიციარები იღებენ ფინანსურ დახმარებას სესხის/ლიზინგის პროცენტის სუბსიდირების სახით, ექსპორტის დეპარტამენტი კი, ექსპორტზე ორიენტირებულ ქართულ კომპანიებს ეხმარება საერთაშორისო ღონისძიებებსა და გამოფენებში მონაწილეობის თანხის თანადაფინანსებით. ასევე ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიებისთვის ხელმისაწვდომია პლატფორმა TradewithGeorgia.com, სადაც შეუძლიათ განათავსონ ინფორმაცია საკუთარი კომპანიისა და პროდუქციის შესახებ.

მიზანი

რეპორტის მიზანია პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილისა და ექსპორტის მხარდაჭერის აქტივობების გავლენის შეფასება. წინასწარ შემუშავებული ინდიკატორთა კატალოგის მიხედვით, ფასდება შესაბამისი ბენეფიციარების ფინანსური და ეკონომიკური შედეგები და მიღწეულ შედეგებში სააგენტოს დახმარების მნიშვნელოვნება, ასევე სააგენტოს აქტივობების შესახებ ბენეფიციართა უკუკავშირი.

მეთოდოლოგია

შეფასების მეთოდოლოგია მოიცავს შემდეგ პროცესებს:

1. ინდიკატორების კატალოგის შემუშავება
   1.1. გავლენის დონე
   1.2. დეპარტამენტის დონე
2. მონაცემთა შეგროვება
   2.1. ბენეფიციარების შერჩევა
   2.2. ბენეფიციართა გამოკითხვა
   2.3. შიდა ბაზების მობილიზება
   2.4. გარე უწყებებიდან მონაცემთა გამოთხოვა
3. მონაცემების დახარისხება
   3.1. მონაცემთა გაწმენდა
   3.2. მონაცემთა დაჯგუფება
   3.3. ექსტრაპოლაცია

სააგენტოს პორტფელი გავლენის შეფასებისთვის

შეფასებისთვის შეირჩა 356 ბენეფიციარი: 291 – ინდუსტრიული ნაწილი, 64 – ექსპორტი და 1 – ორივე. აღნიშნულმა ბენეფიციარებმა 2020 წელს ინდუსტრიული ნაწილის შემთხვევაში მიიღეს საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების თანხა, ხოლო ექსპორტის დეპარტამენტის ბენეფიციარებმა სააგენტოს დახმარებით მიიღეს მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებსა და გამოფენებში და დარეგისტრირდნენ პლატფორმაზე TradewithGeorgia.com. კითხვარი შეავსო 202–მა ბენეფიციარმა (57%): 166 – ინდუსტრიული ნაწილი და 36 – ექსპორტი.

1. პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილი

1.1 პროგრამის აღწერა

საქართველოს მთავრობის N365 დადგენილების მიხედვით დამტკიცებული პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილი წარმოადგენს სესხისა და ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსებას. პროგრამის მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსებსა და უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით. სააგენტომ მისი განხორციელება დაიწყო 2014 წელს. 2020 წლამდე პროგრამის ფარგლებში ლარში გაცემული სესხების თანადაფინანსების საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა არაუმეტეს 10%-ს, ხოლო ლიზინგის შემთხვევაში არაუმეტეს 12%-ს. სესხის მოცულობა/ლიზინგის საგნის მაქსიმალური ღირებულება შეადგენდა 6 მლნ ლარს. 2020 წელს Covid-19 პანდემიის მიერ გამოწვეული ეკონომიკური მდგომარეობის საპასუხოდ, თანადაფინანსების განაკვეთი შეიცვალა და განისაზღვრა, როგორც ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 3% – სესხის და 5% ლიზინგის შემთხვევაში. სესხის მოცულობა/ლიზინგის საგნის მაქსიმალური ღირებულება გაიზარდა 10 მლნ ლარამდე. პროგრამის სტატისტიკა 2014-2021 წლებისთვის იხ. ცხრილში 1.

ცხრილი 1: სტატისტიკა 2014-2021 წლები

კატეგორია	**ბენეფიციართა რაოდენობა**	**დამტკიცებული სესხის მოცულობა (მლნ ლარი)**	**გაცემული სუბსიდიის მოცულობა (მლნ ლარი)**
საწარმო	643	1,154.1	108.9
სასტუმრო	174	338.0	35.6
ტურისტული სერვისები	9	33.0	0.7
რესტორნები	2	0.5	0.0
სულ	**828**	**1,525.5**	**145.26**

1.2 მეთოდოლოგია

1.2.1 ინდიკატორების კატალოგის შემუშავება

ინდუსტრიული ნაწილის შეფასებისთვის შემუშავებულია 35 ინდიკატორი. ინდიკატორები იყოფა გავლენისა და დეპარტამენტის დონეებად. გავლენის დონის ინდიკატორები საშუალო ვადიანია და განსაზღვრავს სააგენტოს ძირითად შედეგებს. დეპარტამენტის დონის ინდიკატორები განსაზღვრავს შესაბამისი პროგრამის იდენტიფიცირებულ შედეგებსა და აქტივობებს.

1.2.1.1 გავლენის დონე

სააგენტოს მიერ განისაზღვრა გავლენის დონის 13 ინდიკატორი:

I1-1.1 სააგენტოს ბენეფიციარი კომპანიების კონტრიბუცია SME სეგმენტის ჯამურ ბრუნვაში

I1–1.2 სააგენტოს ბენეფიციარი კომპანიების კონტრიბუცია SME სეგმენტის აქტივების ღირებულებაში

I1–1.3 სააგენტოს ბენეფიციარი კომპანიების კონტრიბუცია SME სეგმენტის სექტორულ ბრუნვაში

I1–1.4 სააგენტოს ბენეფიციარი კომპანიების სექტორული კონტრიბუცია SME სეგმენტის აქტივების ჯამურ ღირებულებაში

I1–1.5 ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა (სრული განაკვეთის ექვივალენტი)

I1–1.6 მოზიდული გარე კაპიტალის მოცულობა

I1–1.7 მოზიდული გარე კაპიტალის დივერსიფიკაცია

I2–2.1 სამუშაო ძალის პროდუქტიულობის პროცენტული ზრდა

I2–2.2 სააგენტოს ბენეფიციარი კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების პროცენტული ცვლილება

I2–2.3 სააგენტოს კონტრიბუცია ბენეფიციარი კომპანიების ზრდაში

I3–3.1 ვადაგადაცილებული სესხების პროცენტული წილი

I3–3.2 სააგენტოს ბენეფიციარ სასტუმროებში ადგილობრივი/უცხოელი ტურისტების რაოდენობის პროცენტული ზრდა

I4–4.1 სააგენტოს ბენეფიციარი იმ კომპანიების პროცენტული წილი, რომელთაც განაცხადეს, რომ მათი ბიზნესის ზრდისთვის სამუშაო ძალის უნარ–ჩვევების დონე პრობლემას წარმოადგენს

1.2.1.2 დეპარტამენტის დონე

დეპარტამენტის შესაბამისი პროგრამის დონეზე ინდუსტრიული ნაწილის შეფასებისთვის განისაზღვრა 22 ინდიკატორი:

A4–4.1 თანადაფინანსებული სესხებისა და ლიზინგის რაოდენობა

A4–4.2 თანადაფინანსებული სესხების მოცულობა და ლიზინგის საგნის ღირებულება

A4–4.3 სესხებისა და ლიზინგის თანადაფინანსებული თანხის მოცულობა

A4–4.4 იმ ბენეფიციარების პროცენტული წილი, რომელთაც განაცხადეს, რომ სააგენტოს დახმარების გარეშე ვერ შეძლებდნენ პროექტის განხორციელებას

A4–4.5 ფუნქციური ბენეფიციარების პროცენტული წილი

A5–5.1 გაწეული ტექნიკური დახმარების რაოდენობა

A5–5.2 გაწეული ტექნიკური დახმარების მოცულობა

A6–6.1 საერთაშორისო ბრენდის თანადაფინანსების რაოდენობა

A6–6.2 საერთაშორისო ბრენდის თანადაფინანსების მოცულობა

OP5–5.1 თანადაფინანსებული ბენეფიციარების რაოდენობა

OP5–5.2 დამტკიცებული ახალი სესხების მოცულობა და ლიზინგის საგნის ღირებულება

OP5–5.3 ახალი სესხებისა და ლიზინგის თანადაფინანსების თანხის მოცულობა

OP6–6.1 იმ ბენეფიციარების პროცენტული წილი, რომელთაც განაცხადეს, რომ შეიძინეს ახალი ცოდნა

OP8–8.1 საერთაშორისო ბრენდის ხელშეკრულებების ფარგლებში გაცემული თანხის საშუალო მოცულობა

IC4–4.1 ბენეფიციარი კომპანიების პროცენტული წილი, რომელთაც განაცხადეს, რომ სააგენტო დაეხმარა დამატებითი ფინანსების მოპოვებაში

OC4–4.2 კომპანიების პროცენტული წილი, რომელთაც დაადასტურეს გაფართოება

OC5–5.1 ბენეფიციარების პროცენტული წილი, რომელთაც გაიუმჯობესეს ბიზნეს პროცესები და სტრატეგიები

OC6–6.1 სასტუმროებში ახალი ოთახების რაოდენობა

OC6–6.2 სასტუმროებში ოთახების საშუალო რაოდენობა

OC6–6.3 ახალი სასტუმროების დივერსიფიკაცია რეგიონების მიხედვით

OC7–7.1 საერთაშორისო ბრენდის მქონე ახალი სასტუმროებისა და კურორტების რაოდენობა

OC7–7.2 ახალი საერთაშორისო ბრენდების რაოდენობა

1.2.2 მონაცემთა შეგროვების პროცესი

1.2.2.1 ბენეფიციართა კითხვარი

ბენეფიციარებისგან მონაცემთა შეგროვების მიზნით, სააგენტომ შეიმუშავა კითხვარი, რომელიც მოიცავს შემდეგი შინაარსის კითხვებს:

- ბენეფიციარის ფინანსური მაჩვენებლები
- ბენეფიციარის ეკონომიკური მაჩვენებლები
- ბენეფიციარის საოპერაციო მაჩვენებლები
- სააგენტოს დახმარებით ბენეფიციართა კმაყოფილების დონე

კითხვარი დაეგზავნა ინდუსტრიული ნაწილის 292 ბენეფიციარს. კითხვარი შეავსო 166–მა ბენეფიციარმა, აქედან ფუნქციონირებს 136 კომპანია, 27 კომპანია გეგმავს გახსნას, 2 კომპანია არ ფუნქციონირებს, ერთმა კომპანიამ შეწყვიტა ფუნქციონირება.

1.2.2.2 გარე უწყებებიდან მიღებული მონაცემები

სააგენტომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისგან და საქართველოს ეროვნული ბანკისგან გამოითხოვა შემდეგი მაკრო მონაცემები:

- საწარმოთა საერთო რაოდენობა, ჩაშლილი ეკონომიკური სექტორების მიხედვით (NACE rev2)
- საწარმოთა საერთო რაოდენობა, ჩაშლილი რეგიონებისა და ეკონომიკური სექტორების მიხედვით (NACE rev2)
- ბრუნვა, ჩაშლილი ეკონომიკური სექტორების მიხედვით (NACE rev2)

- ბრუნვა, ჩაშლილი რეგიონებისა და ეკონომიკური სექტორების მიხედვით (NACE rev2)
- დასაქმება, ჩაშლილი ეკონომიკური სექტორების მიხედვით (NACE rev2)
- დასაქმება, ჩაშლილი რეგიონების და ეკონომიკური სექტორების მიხედვით (NACE rev1)
- დასაქმება, ჩაშლილი გენდერისა და ეკონომიკური სექტორების მიხედვით (NACE rev2)
- დასაქმება, ჩაშლილი გენდერის, რეგიონებისა და ეკონომიკური სექტორის მიხედვით (NACE rev1)
- ფიქსირებული აქტივების მოცულობა ეკონომიკური სექტორების მიხედვით (NACE rev2)
- ინვესტიციის მოცულობა ფიქსირებულ აქტივებში ეკონომიკური სექტორების მიხედვით (NACE rev2)
- ექსპორტის საერთო მოცულობა, ჩაშლილი ეკონომიკური სექტორების მიხედვით
- SME სეგმენტზე გაცემული სესხების მოცულობა სექტორების მიხედვით, 2021 წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით
- SME სეგმენტზე გაცემული ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა სექტორების მიხედვით, 2021 წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით

1.2.3 მონაცემების დახარისხება

1.2.3.1 მონაცემთა გაწმენდა და დაჯგუფება

სააგენტომ ფინანსური მაჩვენებლებისა და დასაქმების მონაცემები გაასუფთავა ხარვეზიანი ელემენტებისგან. ფინანსური, ეკონომიკური და საოპერაციო ანალიზის კუთხით დამუშავდა ბენეფიციართა შემდეგი მონაცემები:

- მთლიანი აქტივები
- მთლიანი ვალდებულებები
- შემოსავალი
- Debt / Asset Ratio (გამოთვლილი)
- მოზიდული გარე კაპიტალი
- დასაქმება
- სამუშაო ძალის ეფექტურობა
- სასტუმრო ოთახების რაოდენობა
- ტურისტების რაოდენობა

თითოეული ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლისთვის გაკეთდა შემდეგი მატრიცები:

- ეკონომიკური სექტორების (NACE Rev2) და წლების მიხედვით (2017–2021)
- რეგიონების და წლების მიხედვით (2017–2021)
- ხელშეკრულების დადების თარიღისა და წლების მიხედვით (NACE Rev 2)

დამატებით, ზემოთ აღნიშნული მატრიცები გამოიყო იმის მიხედვითაც ბენეფიციარი ფუნქციონირებდა სააგენტოსთან პირველი ხელშეკრულების გაფორმებამდე თუ შემდეგ. უკანასკნელი ასევე დაიყო იმის მიხედვით, თუ როგორ აფასებდა ბენეფიციარი მის შესაძლებლობებს განეხორციელებინა პროექტი სააგენტოს დახმარების გარეშე.

1.2.3.2 ექსტრაპოლაცია

განზოგადდა ბენეფიციარების მიერ მოწოდებული საშემოსავლო მონაცემები, იმ კომპანიებზე, რომელთაც არ ან არასწორად შეავსეს კითხვარის აღნიშნული ველები. ექსტრაპოლაციის პროცესი იყო შემდეგი:

ის 166 კომპანია, რომელთაც სრულად შეავსეს კითხვარი, კლასიფიცირდა ხელშეკრულების გაფორმების წლის და ეკონომიკური სექტორების (NACE Rev2) მიხედვით. სააგენტომ გამოითვალა ფუნქციონირებადი 136 კომპანიის წილი მთლიან სიმრავლესთან (166) ხელშეკრულების გაფორმების წლისა და სექტორების მიხედვით. აღნიშნული წილების მიხედვით, პროპორციულად გადაითვალა ფუნქციური კომპანიების რაოდენობა იმ 292 კომპანიაში, რომელთაც მიიღეს კითხვარი: ფუნქციური – 240 და არა–ფუნქციური – 52. სააგენტოს მიერ გამოყენებული მონაცემთა ჯგუფის ზომით, ფუნქციური კომპანიების წილის დადგენისას ექსტრაპოლირებული შედეგების სანდოობის მაჩვენებელი არის 95%, ხოლო ცდომილების ზღვარი – 5%

ფუნქციონირებადი 136 კომპანიიდან სააგენტოს ფინანსურ მაჩვენებლებზე სწორი ინფორმაცია მიაწოდა 132–მა კომპანიამ. ამასთან განისაზღვრა საშუალო შემოსავლის მოცულობა, ნორმიდან გადახრილი მაღალი და დაბალი შემოსავლების გაუთვალისწინებლად. სააგენტომ აღნიშნული 132 კომპანიის პროპორციულად შემოსავლები გადაანაწილა პირველი ხელშეკრულების გაფორმების წლებისა და სექტორების მიხედვით. შემდეგ ის კომპანიები, რომლებიც ექსტრაპოლაციის შედეგების მიხედვით ფუნქციონირებენ (240), იმავე პროპორციით გადანაწილდნენ პირველი ხელშეკრულების გაფორმების წლებისა და სექტორების მიხედვით. აღნიშნული 240 კომპანიიდან 132 კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები სააგენტოსთვის ცნობილი იყო. დანარჩენ 108 კომპანიაზე განისაზღვრა შემოსავლის დაფიქსირების პერიოდი – პირველი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ერთი წელი. წინასწარ დათვლილი საშუალო შემოსავლის გამოყენებით, განისაზღვრა 108 კომპანიის სავარაუდო შემოსავლები 2017–დან 2021 წლის ჩათვლით, ეკონომიკური სექტორების მიხედვით. სააგენტოს მიერ გამოყენებული მონაცემთა ჯგუფის ზომით, შემოსავლების დათვლისას ექსტრაპოლირებული შედეგების სანდოობის მაჩვენებელი არის 95%, ხოლო ცდომილების ზღვარი – 0.5 მლნ ლარი.

1.3 ინდიკატორების გამოთვლა, ანალიზი და შეფასება

1.3.1 გავლენის დონე

I1–1.1 სააგენტოს ბენეფიციარი კომპანიების კონტრიბუცია SME სეგმენტის ჯამურ ბრუნვაში

<u>*აღწერა:*</u> ინდიკატორი ზომავს სააგენტოს გამოკითხულ ბენეფიციართა კონტრიბუციას საქართველოს SME სეგმენტის ჯამურ ბრუნვაში

<u>*დროის პერიოდი:*</u> ინდიკატორი დათვლილია 2017– 2021 წლების პერიოდზე

<u>*კატეგორიზაცია:*</u> ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორებისა და რეგიონების მიხედვით

<u>*მონაცემთა წყარო:*</u> ბენეფიციართა კითხვარი და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები შემოსავლების შესახებ და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემები SME სეგმენტის ბრუნვის შესახებ შესაბამის სექტორებში. *ამასთან, აღსანიშნავია, რომ გამოთვლებისას, სააგენტომ უგულებელყო ის სექტორები, სადაც ან სააგენტოს ან საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემები არ იყო სრული. 15 სექტორიდან ასეთი იყო სამი: ქიმიკატები და ქიმიური პროდუქტების წარმოება; სხვა მზა ნაკეთობების წარმოება და ჯანდაცვის საქმიანობები.*

132 ბენეფიციარისგან მოწოდებული ფინანსური მონაცემების მიხედვით, მათი 2021 წლის შემოსავლების წილი მთლიან SME სეგმენტში შეადგენს 10%–ს.

ბენეფიციართა მიერ მოწოდებული შემოსავლების ექსტრაპოლირებულმა მაჩვენებელმა 2021 წელს SME სეგმენტის შესაბამისი სექტორების ჯამური შემოსავლის 16% შეადგინა (940 მლნ. ლარი), რაც 2017 წლის მონაცემთან შედარებით 10 პროცენტული პუნქტით მეტია.

ამასთან იმ ბენეფიციარების წილმა, რომლებმაც განაცხადეს რომ სააგენტოს დახმარების გარეშე ვერ განახორციელებდნენ პროექტს, 2017 წელს შეადგენდა მთლიანი SME სეგმენტის 2%, ხოლო 2021 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა 5% –მდე.





2017-2021 წლებში სააგენტოს მიერ საპილოტე რეჟიმში გამოკითხული ბენეფიციარების შემოსავლების წლიური ზრდა მნიშვნელოვნად აღემატება SME სეგმენტის შესაბამისი სექტორების შემოსავლების ზრდის წლიურ მაჩვენებლებს. SME სეგმენტის 2017-2021 წლების პერიოდში წლიურმა ზრდის ტემპმა (CAGR) 8.5% შეადგინა, გამოკითხული ბენეფიციარების კი - 36.8%.

აქედან იმ ბენეფიციარების შემოსავლების წლიურმა ზრდის ტემპმა (CAGR), რომელთაც განაცხადეს, რომ სააგენტოს დახმარების გარეშე ვერ განახორციელებდნენ პროექტს 32.4% შეადგინა.



2020 წლის მონაცემებით[1], გეოგრაფიულ ჭრილში, სააგენტოს ბენეფიციარებს მთლიან SME სეგმენტში ყველაზე მაღალი კონტრიბუცია აქვთ შემდეგ რეგიონებში: გურია – 71%; შიდა ქართლი – 30%; სამცხე–ჯავახეთი – 15%; თბილისი – 14% და იმერეთი – 14%;

I1–1.2 სააგენტოს ბენეფიციარი კომპანიების კონტრიბუცია SME სეგმენტის აქტივების ღირებულებაში

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს სააგენტოს გამოკითხულ ბენეფიციართა კონტრიბუციას საქართველოს SME სეგმენტის ფიქსირებული აქტივების ჯამურ ღირებულებაში

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2017– 2020[2] წლების პერიოდზე

<u>კატეგორიზაცია:</u> ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება ეკონომიკური სექტორების მიხედვით

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა კითხვარი და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები აქტივების ღირებულების შესახებ და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემები SME სეგმენტის ფიქსირებული აქტივების ღირებულების შესახებ შესაბამის სექტორებში. *ამასთან, აღსანიშნავია, რომ გამოთვლებისას, სააგენტომ უგულებელყო ის სექტორები, სადაც ან სააგენტოს ან საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემები არ იყო სრული. 15 სექტორიდან ასეთი იყო 3: ქიმიკატები და ქიმიური პროდუქტების წარმოება; სხვა მზა ნაკეთობების წარმოება და ჯანდაცვის საქმიანობები.*

---

[1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისთვის რეპორტის შედგენის თარიღში ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ 2020 წლის მონაცემები რეგიონებისა და ეკონომიკური სექტორების ჭრილში.

[2]საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისთვის რეპორტის შედგენის თარიღში ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ 2020 წლის მონაცემები.

სააგენტოს გამოკითხულ ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, მათი 2020 წლის აქტივების ღირებულების წილი მთლიან SME სეგმენტში შეადგენდა 21%-ს. სააგენტოს გამოკითხული ბენეფიციარი კომპანიების აქტივების ჯამურმა ღირებულებამ 670 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო SME სეგმენტის აქტივების ჯამურმა ღირებულებამ, შესაბამის ეკონომიკურ სექტორებში – 3.2 მლრდ ლარი. 2017 წელს ბენეფიციართა აქტივების ღირებულება SME სეგმენტის 12%-ს შეადგენდა. შესაბამისად 2020 წლამდე ეს მაჩვენებელი 9% პროცენტული პუნქტით გაიზარდა.





2017-2020 წლებში სააგენტოს მიერ საპილოტე რეჟიმში გამოკითხულ ბენეფიციარების აქტივების ღირებულების წლიური ზრდა 2018-2020 წლებში მნიშვნელოვნად აღემატება SME სეგმენტის შესაბამისი სექტორების აქტივების ღირებულების ზრდის წლიური ზრდის მაჩვენებლებს.



აქედან იმ ბენეფიციარების აქტივების კლებამ 2019-2020 წლებში , რომელთაც განაცხადეს რომ სააგენტოს დახმარების გარეშე ვერ განახორციელებდნენ პროექტს შეადგინა 2.0% SME სეგმენტის 13.6%-იან კლებასთან შედარებით.



2020 წლის მონაცემებით, გეოგრაფიულ ჭრილში, სააგენტოს ბენეფიციარებს მთლიან SME სეგმენტში ყველაზე მაღალი კონტრიბუცია აქვთ შემდეგ რეგიონებში: გურია - 34%, შიდა ქართლი - 30% და იმერეთი - 11%.

I1–1.3 სააგენტოს ბენეფიციარი კომპანიების კონტრიბუცია SME სეგმენტის სექტორულ ბრუნვაში

აღწერა: ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციართა კონტრიბუციას საქართველოს SME სეგმენტის ბრუნვაში შესაბამის სექტორებში

დროის პერიოდი: ინდიკატორი დათვლილია 2017– 2021 წლების პერიოდზე

კატეგორიზაცია: ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორებისა და რეგიონების მიხედვით

მონაცემთა წყარო: ბენეფიციართა კითხვარი და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მიგნებები: სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები შემოსავლების შესახებ და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემები SME სეგმენტის ბრუნვის შესახებ სექტორულ ჭრილში.

ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემების ექსტრაპოლაციის შემდეგ სააგენტომ გამოითვალა გამოკითხულ ბენეფიციართა შემოსავლების წილი მთლიანი SME სეგმენტის შესაბამის სექტორებში.

2021 წლის მონაცემებით, SME სეგმენტის ბრუნვაში სააგენტოს ბენეფიციარი კომპანიების ყველაზე მაღალი კონტრიბუცია ფიქსირდება შემდეგ ეკონომიკურ სექტორებში: ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა – 60%; ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება – 54%; სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება – 51%; ავეჯის წარმოება – 37%; რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება – 21%.

I1–1.4 სააგენტოს ბენეფიციარი კომპანიების სექტორული კონტრიბუცია SME სეგმენტის აქტივების ჯამურ ღირებულებაში

აღწერა: ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციართა კონტრიბუციას საქართველოს SME სეგმენტის აქტივების ღირებულებაში შესაბამის სექტორებში

დროის პერიოდი: ინდიკატორი დათვლილია 2017– 2020 წლების პერიოდზე

კატეგორიზაცია: ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორების მიხედვით

მონაცემთა წყარო: ბენეფიციართა კითხვარი და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მიგნებები: სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები აქტივების ღირებულების შესახებ და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემები SME სეგმენტში აქტივების ღირებულების შესახებ სექტორულ ჭრილში.

ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით სააგენტომ გამოითვალა გამოკითხულ ბენეფიციართა აქტივების ღირებულების წილი მთლიანი SME სეგმენტის შესაბამის სექტორებში.

2020 წლის მონაცემებით, SME სეგმენტის აქტივების ღირებულებაში სააგენტოს ბენეფიციარი კომპანიების ყველაზე მაღალი კონტრიბუცია ფიქსირდება სამ ეკონომიკურ სექტორში: ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება – 77%; სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება – 69%; ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა – 63%.

I1–1.5 ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა (სრული განაკვეთის ექვივალენტი)

აღწერა: ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციარ კომპანიებში სრული განაკვეთით დასაქმებულ ახალ თანამშრომელთა რაოდენობას

დროის პერიოდი: ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

კატეგორიზაცია: ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორების, რეგიონების, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

მონაცემთა წყარო: ბენეფიციართა კითხვარი

მიგნებები: სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები სრული განაკვეთის ექვივალენტზე დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობების შესახებ 2020 და 2021 წლებში. სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელი ექვივალენტურია 1 ერთეულის, ხოლო არასრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელს ერთეული ენიჭება დასაქმების საათების პროპორციულად. მაგ: 40 სამუშაო საათი კვირაში – 1 ერთეული; ხოლო 20 სამუშაო საათი კვირაში – 0.5 ერთეული.

2021 წელს 2020 წელთან შედარებით სრული განაკვეთის ექვივალენტზე დასაქმებულ თანამშრომელთა ჯამური რაოდენობა 9%–ით, 376 თანამშრომლით გაიზარდა, ამასთან SME სეგმენტის შესაბამის სექტორებში დაფიქსირდა დასაქმებულთა რაოდენობის 9%–იანი კლება (5,048 თანამშრომელი). სექტორულ ჭრილში თანამშრომელთა ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა შემდეგ ეკონომიკურ სექტორებში: ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა – 27%–ით 182 თანამშრომელი და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა – 32%–ით 112 თანამშრომელი. თანამშრომელთა რაოდენობა ყველაზე მეტად შემცირდა ქაღალდისა და ქაღალდის ნაწარმის წარმოების სექტორში – 12%–ით 73 თანამშრომელი. რეგიონულ ჭრილში ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა: ქვემო ქართლი – 38%–ით 193 თანამშრომელი; კახეთი – 80%–ით 106 თანამშრომელი;

თანამშრომელთა რაოდენობა ყველაზე მეტად შემცირდა სამეგრელო-ზემო სვანეთში 8%-ით 20 თანამშრომელი.









გამოკითხული ბენეფიციარი კომპანიების თანამშრომლების გენდერულ გადანაწილებაში ქალების წილი არის უფრო დაბალი ვიდრე SME სეგმენტის შესაბამის სექტორებში, თუმცა 2021 წელს 2020 წელთან შედარებით ბენეფიციარ კომპანიებში ფიქსირდება დასაქმებული ქალების წილის 2%-იანი ზრდა, SME სეგმენტში კი – 1%-იანი კლება.

გამოკითხულ ბენეფიციარ კომპანიებში 2021 წელს დასაქმებულ თანამშრომელთა ასაკობრივი გადანაწილების უდიდესი ნაწილი ფიქსირდება 30-39 წლის ასაკობრივ კატეგორიაში.



I1-1.6 მოზიდული გარე კაპიტალის მოცულობა

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციარი კომპანიების მოზიდული გარე კაპიტალის (სააგენტოს მიერ თანადაფინანსებული სესხის/ლიზინგის გარდა, 2021 წელს აღებული სესხი/ლიზინგი ან შემოსული ინვესტიცია) მოცულობას

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

<u>კატეგორიზაცია:</u> ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორებისა და რეგიონების მიხედვით

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა კითხვარი

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები 2021 წელს მოზიდული გარე კაპიტალის მოცულობის შესახებ

სააგენტომ მოზიდული გარე კაპიტალის ანალიზისათვის იდენტიფიცირებული 15 ეკონომიკური სექტორიდან გამოიყენა 12, რომლებშიც ფუნქციონირებადმა ერთზე მეტმა კომპანიამ მოგვაწოდა ინფორმაცია. 94 ბენეფიციარი კომპანიის მიერ მოზიდული გარე კაპიტალის მთლიანი მოცულობა 2021 წელს 160 მლნ ლარს შეადგენს. მოზიდულ გარე კაპიტალში ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება შემდეგ ეკონომიკური სექტორებში: განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა – 43 მლნ ლარი (მთლიანი მოზიდული გარე კაპიტალის 27%); სხვა არა ლითონური მინერალური პროდუქტების წარმოება – 35 მლნ ლარი (22%); ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა – 29 მლნ ლარი (18%).

მოზიდული გარე კაპიტალის მთლიან მოცულობაში ყველაზე დიდი წილი უკავია თბილისს – 76 მლნ ლარი, მთლიანი მოზიდული გარე კაპიტალის 47%.

I1-1.7 მოზიდული გარე კაპიტალის დივერსიფიკაცია

აღწერა: ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციარი კომპანიების მოზიდული გარე კაპიტალის (სააგენტოს მიერ თანადაფინანსებული სესხის/ლიზინგის გარდა, 2021 წელს აღებული სესხი/ლიზინგი ან შემოსული ინვესტიცია) წყაროების დივერსიფიკაციას

დროის პერიოდი: ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

კატეგორიზაცია: ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორების, რეგიონებისა და გარე კაპიტალის წყაროს მიხედვით

მონაცემთა წყარო: ბენეფიციართა კითხვარი

მიგნებები: სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები 2021 წელს მოზიდული გარე კაპიტალის წყაროების შესახებ. წყაროები იყოფა შემდეგნაირად: სესხი, ლიზინგი, ინვესტიცია – კერძო და ინსტიტუციური ინვესტორები.

სააგენტომ მოზიდული გარე კაპიტალის დივერსიფიკაციის ანალიზისათვის იდენტიფიცირებული 15 ეკონომიკური სექტორიდან გამოიყენა 12, რომლებშიც ფუნქციონირებადმა ერთზე მეტმა კომპანიამ მოგვაწოდა ინფორმაცია. აღნიშნულ სექტორებში მოზიდული გარე კაპიტალის (160 მლნ ლარი) 69%-ს შეადგენს 70 ბენეფიციარი კომპანიის მიერ აღებული სესხები ჯამური მოცულობით 110 მილიონი ლარი; 26%-ს შეადგენს 34 ბენეფიციარი კომპანიის მიერ მოზიდული ინვესტიცია ჯამური მოცულობით 41 მლნ ლარი; ხოლო 5%-ს შეადგენს 8 კომპანიის მიერ ლიზინგით ათვისებული თანხა ჯამური მოცულობით 9 მლნ ლარი.

ქვემოთ მოცემულ ჩარტში აღნიშნული ეკონომიკური სექტორები დალაგებულია 2021 წელს მოზიდული გარე კაპიტალის ჯამური მოცულობით (სააგენტოს მიერ თანადაფინანსებული სესხის/ლიზინგის გარდა). თითოეული სექტორისთვის კი ნაჩვენებია გარე კაპიტალის ტიპების პროცენტული განაწილება.



I2-2.1 სამუშაო ძალის პროდუქტიულობის პროცენტული ზრდა

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციარი კომპანიების სამუშაო ძალის პროდუქტიულობის ზრდას

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

<u>კატეგორიზაცია:</u> ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორების მიხედვით

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა კითხვარი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები სრული განაკვეთის ექვივალენტზე დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობების შესახებ 2020 და 2021 წლებში და შესაბამის

პერიოდში შემოსავლების შესახებ. პროდუქტიულობა დათვლილია შემოსავლებისა და სრული განაკვეთის ექვივალენტზე მომუშავე თანამშრომელთა რაოდენობის შეფარდებით. სააგენტომ ბენეფიციარ კომპანიათა სამუშაო ძალის პროდუქტიულობის ანალიზისათვის გამოიყენა 10 ეკონომიკური სექტორი, რომლებშიც ფუნქციონირებადმა ერთზე მეტმა კომპანიამ მიაწოდა სააგენტოს ინფორმაცია.

გამოკითხულ ბენეფიციართა სამუშაო ძალის პროდუქტიულობა 2021 წელს 2020 წელთან შედარებით 23%-ით გაიზარდა, იგივე მაჩვენებელი SME სეგმენტში 18%-ია.



იდენტიფიცირებული 10 ეკონომიკური სექტორიდან, სააგენტოს ბენეფიციარი კომპანიების სამუშაო ძალის პროდუქტიულობის 2021 წლის ზრდა 2020 წელთან შედარებით აღემატება SME სეგმენტის შესაბამისი 5 ეკონომიკური სექტორის ზრდის მაჩვენებელს.



ბენეფიციარ კომპანიებში პროდუქტიულობის ზრდის ნეგატიური მაჩვენებელი აღინიშნება კვების პროდუქტების წარმოების (-3%), ტანსაცმლის წარმოების (-14%) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის (-12%) სექტორებში, რაც ძირითადად განპირობებულია ბენეფიციარ კომპანიებში შემოსავლებთან შედარებით თანამშრომელთა რაოდენობის მაღალი პროცენტული ზრდით და ამასთანავე SME სეგმენტის ამავე სექტორებში თანამშრომელთა რაოდენობის შემცირებით.

I2-2.2 სააგენტოს ბენეფიციარი კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების პროცენტული ცვლილება

აღწერა: ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციარი კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების პროცენტულ ცვლილებას

დროის პერიოდი: ინდიკატორი დათვლილია 2017-2021 წლებისთვის

კატეგორიზაცია: ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორების მიხედვით

მონაცემთა წყარო: ბენეფიციართა კითხვარი

მიგნებები: სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული შემდეგი ფინანსური მონაცემები:

შემოსავლები (მლნ ლარი)									
ეკონომიკური სექტორი	**2017**	**2018**	**YoY**	**2019**	**YoY**	**2020**	**YoY**	**2021**	**YoY**
კვების პროდუქტების წარმოება	16.3	20.5	25%	24.6	20%	28.4	16%	32.8	15%
სასმელების წარმოება	22.8	31.8	40%	39.8	25%	41.6	5%	57.5	38%
ტანსაცმლის წარმოება	-	-	-	2.5	-	3.2	31%	4.4	37%
ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება	31.8	39.2	23%	50.9	30%	53	4%	69.6	31%
ბეჭდვა და მედია-ჩანაწერების აღწარმოება	4.5	7.5	69%	10.9	44%	4.9	-55%	6.5	32%
რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება	11.2	17.8	59%	21.3	20%	28.5	33%	39.3	38%
სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება	97.6	137	40%	217.2	59%	177.2	-18%	172.8	-2%
ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა	44.6	61.3	37%	78.5	28%	81.2	3%	152.1	87%
ავეჯის წარმოება	18.3	21.7	18%	24.8	14%	25.8	4%	43.2	68%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	2.1	5.5	165%	7.5	37%	9.4	25%	15.7	67%
სულ	**249.2**	**342.3**	37%	**477.9**	40%	**453.2**	-5%	**593.9**	31%

ბენეფიციართა შემოსავლების ტრენდი სექტორულ ჭრილში: (100-250 მლნ ლარი)



ბენეფიციართა შემოსავლების ტრენდი სექტორულ ჭრილში: (20-100მლნ ლარი)



ბენეფიციართა შემოსავლების ტრენდი სექტორულ ჭრილში: (0-20 მლნ ლარი)



მთლიანი აქტივები (მლნ ლარი)									
ეკონომიკური სექტორი	**2017**	**2018**	**YoY**	**2019**	**YoY**	**2020**	**YoY**	**2021**	**YoY**
კვების პროდუქტების წარმოება	9.2	16.3	76%	28.4	75%	31.2	10%	34.4	10%
სასმელების წარმოება	70.5	75.7	7%	87.3	15%	98.7	13%	111.4	13%
ტანსაცმლის წარმოება	-	-	-	11.6	-	13.6	17%	15.6	15%
ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება	28.3	37.7	33%	53	41%	64.8	22%	78.8	22%
ბეჭდვა და მედია-ჩანაწერების აღწარმოება	5.6	6.9	24%	8.9	29%	8.9	0%	9.3	5%
რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება	7.1	7.9	12%	8.8	10%	12.2	39%	21.3	74%
სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება	78.3	122.4	56%	166.1	36%	207.9	25%	242.5	17%
ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა	44.2	54.7	24%	72.3	32%	101.6	41%	123	21%
ავეჯის წარმოება	8.6	13.4	56%	17.9	34%	21.1	18%	24.7	17%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	19.5	44	125%	79.1	80%	102.3	29%	146	43%
სულ	**271.2**	**379**	40%	**533.4**	41%	**662.3**	24%	**807.1**	22%

ბენეფიციართა აქტივების ღირებულების ტრენდი სექტორულ ჭრილში (100-250 მლნ)



ბენეფიციართა აქტივების ღირებულების ტრენდი სექტორულ ჭრილში (25-100 მლნ)



ბენეფიციართა აქტივების ღირებულების ტრენდი სექტორულ ჭრილში (0-25 მლნ)



მთლიანი სესხი (მლნ ლარი)									
ეკონომიკური სექტორი	**2017**	**2018**	**YoY**	**2019**	**YoY**	**2020**	**YoY**	**2021**	**YoY**
კვების პროდუქტების წარმოება	3.9	9.3	140%	21.8	134%	23.1	6%	22.9	-1%
სასმელების წარმოება	36	33.3	-7%	39.5	19%	49.6	25%	48.6	-2%
ტანსაცმლის წარმოება	-	-	-	2.3	-	2.3	-1%	2.3	1%
ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება	8.8	13	48%	20.9	61%	26.5	27%	24.8	-6%
ბეჭდვა და მედია-ჩანაწერების აღწარმოება	2.2	2.5	15%	3	20%	3.7	24%	5.3	43%
რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება	5.6	8.8	59%	9.9	13%	12.5	26%	17.5	40%
სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება	20.7	28.8	39%	53.1	84%	78.2	47%	76	-3%
ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა	12.2	17.3	41%	31	80%	41.6	34%	52.9	27%
ავეჯის წარმოება	1.8	5.2	187%	8.8	70%	11.7	33%	10.3	-12%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	6	23.4	293%	46.1	97%	68.7	49%	73.1	6%
სულ	**97.1**	**141.6**	46%	**236.4**	67%	**317.7**	34%	**333.6**	5%

Debt/Asset Ratio					
ეკონომიკური სექტორი	2017	2018	2019	2020	2021
კვების პროდუქტების წარმოება	42%	57%	77%	74%	67%
სასმელების წარმოება	51%	44%	45%	50%	44%
ტანსაცმლის წარმოება	-	-	20%	17%	15%
ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება	31%	34%	39%	41%	31%
ბეჭდვა და მედია-ჩანაწერების აღწარმოება	39%	37%	34%	42%	56%
რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება	79%	111%	114%	103%	82%
სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება	26%	24%	32%	38%	31%
ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა	28%	32%	43%	41%	43%
ავეჯის წარმოება	21%	39%	49%	55%	42%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	30%	53%	58%	67%	50%
სულ	36%	37%	44%	48%	41%

სააგენტოს გამოკითხული ბენეფიციარი კომპანიების დაკრედიტების (Debt/Asset) გამოსათვლელად ბენეფიციართა მიერ მოწოდებული ჯამური სესხები გაიყო აქტივების ჯამურ ღირებულებაზე. ხოლო SME სეგმენტისათვის დაკრედიტების გამოსათვლელად გამოყენებულ იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია SME სეგმენტის ფიქსირებული აქტივების შესახებ, კლასიფიცირებული ეკონომიკური სექტორების მიხედვით და საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია SME სეგმენტის მრეწველობისა და სასტუმროების სექტორებში გაცემული სესხების მოცულობის შესახებ.





I2-2.3 სააგენტოს კონტრიბუცია ბენეფიციარი კომპანიების ზრდაში

აღწერა: ინდიკატორი ზომავს სააგენტოს კონტრიბუციით ბენეფიციარი კომპანიების მიერ დაგენერირებულ შემოსავალების ნაზრდ მოცულობას

დროის პერიოდი: პილოტის ფარგლებში ინდიკატორი დათვლილია 2020 წელს გაფორმებულ პირველ ხელშეკრულებებზე

კატეგორიზაცია: ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სააგენტოსთან 2020 წელს გაფორმებულ პირველ ხელშეკრულებამდე ბენეფიციარი კომპანიის ფუნქციონირების სტატუსის მიხედვით

მონაცემთა წყარო: ბენეფიციართა კითხვარი

მიგნებები: სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები შემოსავლების შესახებ.

სესხის სუბსიდირების ინდუსტრიულ ნაწილში 2020 წელს ჩართული ბენეფიციარების შემოსავლებში სააგენტოს კონტრიბუციის გამოსათვლელად ბენეფიციარები გაიმიჯნა ორ კატეგორიად:

- სააგენტოსთან პირველი ხელშეკრულების გაფორმებამდე ფუნქციონირებადი ბენეფიციარი კომპანიები
- ბენეფიციარი კომპანიები, რომელთაც ფუნქციონირება დაიწყეს სააგენტოსთან პირველი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ

საპილოტე რეჟიმის ფარგლებში, იმ 132 კომპანიიდან, რომლებმაც ფინანსური მაჩვენებლების შესახებ სააგენტოს სწორი ინფორმაცია მიაწოდა, პირველი ხელშეკრულება სააგენტოსთან გააფორმა 22-მა კომპანიამ, აქედან 2021 წელს შემოსავალი დააგენერირა 20-მა ბენეფიციარმა.

აღნიშნული 20 კომპანიიდან 12 ფუნქციონირებდა სააგენტოსთან 2020 წელს პირველი ხელშეკრულების გაფორმებამდე, 8 ბენეფიციარმა კი ფუნქციონირება დაიწყო სააგენტოსთან 2020 წელს პირველი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

1. სააგენტოსთან 2020 წელს პირველი ხელშეკრულების გაფორმებამდე ფუნქციონირებადი ბენეფიციარი კომპანიები.

სააგენტოს ინდუსტრიულ ნაწილში 2020 წელს ჩართვამდე იდენტიფიცირებული 12 ბენეფიციარის შემოსავლების წლიური ზრდის ტემპმა (CAGR) 2017-2020 წლების განმავლობაში შეადგინა 12.6% (აღსანიშნავია, რომ SME სეგმენტის წლიური ზრდის ტემპი ამავე პერიოდში შეადგენდა 8.5%). შემოსავლების ზრდის ამ ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში, 2021 წელს ბენეფიციარი კომპანიების მიერ დაგენერირდებოდა შემოსავალი 45.6 მლნ ლარის მოცულობით. თუმცა იმავე ბენეფიციარების შემოსავალი პროგრამაში ჩართვის შემდგომ 2020-2021 წლებში გაიზარდა 60.2%-ით და შეადგინა 64.8 მლნ ლარი. შესაბამისად სააგენტოს

კონტრიბუციით აღნიშნული 12 ბენეფიციარის შემოსავლების ნაზრდმა შეადგინა 42.3% შესაბამისად - 19.3 მლნ ლარი.



აღნიშნულ კომპანიებზე 2020-2021 წლებში დამტკიცებულმა სესხმა 9.8 მლნ ლარი ხოლო სააგენტოს მიერ გაცემული სუბსიდიის მოცულობამ 1.0 მლნ ლარი შეადგინა.

2. კომპანიები, რომელთაც ფუნქციონირება დაიწყეს სააგენტოსთან 2020 წელს პირველი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

სააგენტოს ინდუსტრიულ ნაწილში 2020 წელს ჩაერთო იდენტიფიცირებული 8 ბენეფიციარი, რომელთა შემოსავლები გენერირდებოდა 2020 წლის ბოლოს და 2021 წლის განმავლობაში. შემოსავლების ჯამურმა მოცულობამ 21.0 მლნ ლარი შეადგინა. რადგანაც აღნიშნული კომპანიები სააგენტოსთან ხელშეკრულების გაფორმებამდე არ ფუნქციონირებდნენ და ფუნქციონირება დაიწყეს სააგენტოს ხელშეწყობით, სააგენტოს კონტრიბუცია ბენეფიციარების შემოსავლებში შესაძლოა განისაზღვროს 100%-ით.

აღნიშნულ კომპანიებზე 2020-2021 წლებში დამტკიცებულმა სესხმა 18.2 მლნ ლარი, ხოლო სააგენტოს მიერ გაცემული სუბსიდიის მოცულობამ 1.6 მლნ ლარი შეადგინა.



ინდუსტრიული ნაწილის სესხის სუბსიდირების ნაწილის ეფექტი ბენეფიციარი კომპანიების შემოსავლებზე, რომლებმაც პირველი ხელშეკრულება გააფორმეს 2020 წელს



* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, SME სეგმენტში წარმოების სექტორის (C-სექტორი) მთლიანი გამოშვება ახდენს დაახლოებით 30%-იან კონტრიბუციას მშპ-ში.

** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, SME სეგმენტის წარმოების სექტორში (C-სექტორი) დღგ-ის მოცულობა უტოლდება მთლიანი გამოშვების 8%-ს. ასევე, მშპ-ში შრომის ანაზღაურება უტოლდება 30%-ს და საოპერაციო წმინდა მოგების მარჟა 15%-ს.

I3-3.1 ვადაგადაცილებული სესხების პროცენტული წილი

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციართა ვადაგადაცილებული სესხების პროცენტულ წილს მთლიან პორტფელში

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

<u>კატეგორიზაცია:</u> ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორების მიხედვით

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა მონაცემთა ბაზები, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ შეფასების მიზნით, შეადარა სააგენტოს მიმდინარე პორტფელში და SME სეგმენტში ვადაგადაცილებული სესხების მოცულობის წილები.

საქართველოს ეროვნული ბანკი ვადაგადაცილებული სესხების კლასიფიკაციას აკეთებს ეკონომიკური სექტორების ან ვადაგადაცილებული დღეების ჯგუფების მიხედვით. ამასთან, ეროვნულ ბანკს აქვს ეკონომიკური სექტორების საკუთარი კლასიფიკაცია, რომელიც განსხვავდება NACE Rev2-სგან. შესაბამისად, სააგენტომ მათ მიერ მოწოდებული მონაცემები დააჯგუფა ორ მსხვილ სექტორად: წარმოება და სასტუმროები. სააგენტოს მიზნებისათვის მნიშვნელოვანია SME სეგმენტის კონკრეტულ სექტორებში ვადაგადაცილებული სესხის მოცულობის პროცენტული წილის შედარება ბენეფიციარი კომპანიების იმავე მაჩვენებელთან. შესაბამისად, სააგენტოს ბენეფიციართა მხრიდან ვადაგადაცილებულ სესხად იქნა მიჩნეული, იმ სესხის საბალანსო მოცულობა, რომლის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა არის ერთი ან მეტი.

სააგენტოს ბენეფიციარი კომპანიების მიერ ჯამურად აღებული სესხების მოცულობამ 357 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ვადაგადაცილებული სესხების ჯამურმა მოცულობამ 22 მლნ ლარი, რაც მთლიანი პორტფელის 6%-ს შეადგენს. აღნიშნული მონაცემი მთლიანი SME სეგმენტისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 8%- შეადგენს.

წარმოების სექტორში ვადაგადაცილებული სესხების წილი გამოკითხულ ბენეფიციართა პორტფელში შეადგენს 5.0%-ს, ხოლო SME სეგმენტის შესაბამისი





სექტორისთვის – 5.4%-ს. სასტუმრო სექტორში ვადაგადაცილებული სესხების წილი გამოკითხულ ბენეფიციართა პორტფელში შეადგენს 11.9%-ს, ხოლო SME სეგმენტის შესაბამისი სექტორისთვის – 16.5%-ს.

I3-3.2 სააგენტოს ბენეფიციარ სასტუმროებში ადგილობრივი/უცხოელი ტურისტების რაოდენობის პროცენტული ზრდა

აღწერა: ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციარ სასტუმროებში ადგილობრივი/ უცხოელი ტურისტების რაოდენობის პროცენტულ ზრდას

დროის პერიოდი: ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

კატეგორიზაცია: ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება რეგიონების მიხედვით

მონაცემთა წყარო: ბენეფიციართა კითხვარი

მიგნებები: სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები ადგილობრივი/უცხოელი ტურისტების რაოდენობების შესახებ 2020 და 2021 წლებში.

2020 წელს სააგენტოს ბენეფიციარ სასტუმროებში 13.3 ათასი ადგილობრივ ტურისტი იყო, 2021 წელს იგივე მაჩვენებელი 230%-ით გაიზარდა და 43.7 ათასს ვიზიტორს შეადგენდა.

2020 წელს სააგენტოს ბენეფიციარ სასტუმროებში უცხოელ ტურისტთა რაოდენობა 12.7 ათასი იყო, ხოლო 2021 წელს იგივე მაჩვენებელი 102%-ით გაიზარდა და 25.7 ათას ვიზიტორს შეადგენდა.

I4-4.1 სააგენტოს ბენეფიციარი იმ კომპანიების პროცენტული წილი, რომელთაც განაცხადეს, რომ მათი ბიზნესის ზრდისთვის სამუშაო ძალის უნარ-ჩვევების დონე პრობლემას წარმოადგენს

აღწერა: ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციარების წილს, რომელთაც განაცხადეს, რომ მათი ბიზნესის ზრდისთვის სამუშაო ძალის უნარ-ჩვევების დონე პრობლემას წარმოადგენს

დროის პერიოდი: ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

კატეგორიზაცია: ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორების მიხედვით

მონაცემთა წყარო: ბენეფიციართა კითხვარი

მიგნებები: სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები სამუშაო ძალის უნარ-ჩვევების შეფასების შესახებ

სააგენტოს ბენეფიციარი 136 კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით 97 კომპანია (71%) თვლის, რომ სამუშაო ძალის უნარ-ჩვევების დონე პრობლემას წარმოადგენს მათი ბიზნესის ზრდისთვის. ხოლო გამოკითხულ ბენეფიციართა 18% (25 კომპანია) თვლის, რომ სამუშაო ძალის უნარ-ჩვევების დონე არამნიშვნელოვნად

აფერხებს მათი ბიზნესის განვითარების პროცესს, 10% (14 კომპანია) თვლის, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს ბიზნესის განვითარებისთვის დაბრკოლებას.

ყველა სექტორში სამუშაო ძალის უნარ–ჩვევების პრობლემატურობის დონე მეტია 50%–ზე. 16 სექტორიდან 6 სექტორში ყველა ბენეფიციარი მიიჩნევს სამუშაო ძალის უნარ–ჩვევების დონეს მნიშვნელოვან დაბრკოლებად. ეს სექტორებია: ხის და კორპის ნაწარმის წარმოება, ავეჯის გარდა; ნაკეთობების წარმოება ჩალის და წნული მასალებისაგან; ქიმიკატების და ქიმიური პროდუქტების წარმოება; რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება; ელექტრული მოწყობილობების წარმოება; სხვა მზა ნაკეთობების წარმოება; ჯანდაცვის საქმიანობები.

1.3.2 დეპარტამენტის დონე

A4–4.1 თანადაფინანსებული სესხებისა და ლიზინგის რაოდენობა

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს სააგენტოს მიერ სესხისა და ლიზინგის თანადაფინანსების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურ რაოდენობას

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2014–2021 წლისთვის

<u>კატეგორიზაცია:</u> ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორებისა და რეგიონების მიხედვით

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა მონაცემთა ბაზები

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ ინდიკატორი გამოითვალა ბენეფიციართა არსებული მონაცემთა ბაზის საშუალებით.

2014–2021 წლებში ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში სააგენტოს მიერ თანადაფინანსებულ იქნა 948 სასესხო/სალიზინგო ხელშეკრულება. თანადაფინანსებული ხელშეკრულებების რაოდენობა ეკონომიკურ სექტორებზე შემდეგნაირად ნაწილდება: განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა – 223 ხელშეკრულება (24%); სხვა არა ლითონური მინერალური პროდუქტების წარმოება – 174 ხელშეკრულება (18%); რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება – 80 ხელშეკრულება (8%); ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა – 70 ხელშეკრულება (7%); ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება – 64 ხელშეკრულება (7%); სხვა დანარჩენი სექტორები – 337 ხელშეკრულება (36%).

რეგიონების მიხედვით თანადაფინანსებული ხელშეკრულებების ყველაზე დიდი წილი მოდის თბილისის რეგიონზე – 444 ხელშეკრულება (46%).

A4-4.2 თანადაფინანსებული[3] სესხების მოცულობა და ლიზინგის საგნის ღირებულება

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში დამტკიცებული სესხების მოცულობასა და ლიზინგის საგნის ღირებულებას

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2014-2021 წლისთვის

<u>კატეგორიზაცია:</u> ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორებისა და რეგიონების მიხედვით

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა მონაცემთა ბაზები

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ ინდიკატორი გამოითვალა ბენეფიციართა არსებული მონაცემთა ბაზის საშუალებით.

2014-2021 წლებში ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში სააგენტოს მიერ თანადაფინანსებული სესხების და სალიზინგო საგნების ღირებულების ჯამურმა მოცულობამ 1.1 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული სესხების/ლიზინგის მოცულობა ეკონომიკურ სექტორებზე შემდეგნაირად ნაწილდება: განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა - 242 მლნ ლარი (21%); სხვა არა ლითონური მინერალური პროდუქტების წარმოება - 191 მლნ ლარი (17%); ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა - 102 მლნ ლარი (9%); რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება - 87 მლნ ლარი (8%); სხვა დანარჩენი სექტორები - 517 მლნ ლარი (45%).

რეგიონების მიხედვით დამტკიცებული სასესხო/სალიზინგო ხელშეკრულებების მოცულობის ყველაზე დიდი წილი მოდის თბილისის რეგიონზე - 492 მლნ ლარი (45%); მცხეთა მთიანეთი - 119 მლნ ლარი (10%); ქვემო ქართლი - 107 მლნ ლარი (9%);

A4-4.3 სესხებისა და ლიზინგის თანადაფინანსებული თანხის მოცულობა

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში თანადაფინანსებული სესხების მოცულობას და ლიზინგის საგნის ღირებულებას

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2014-2021 წლების პერიოდისთვის

<u>კატეგორიზაცია:</u> ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორებისა და რეგიონების მიხედვით

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა მონაცემთა ბაზები

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ ინდიკატორი გამოითვალა ბენეფიციართა არსებული მონაცემთა ბაზის საშუალებით.

2014-2021 წლებში ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში სააგენტოს მიერ სესხებისა და ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების ფარგლებში

[3] სესხები/ლიზინგი, რომლებმაც 2021 წლის ჩათვლით მიიღო თანადაფინანსება.

გადარიცხულმა თანხის მოცულობამ 145.3 მლნ ლარი შეადგინა. თანადაფინანსებული სესხების/ლიზინგის მოცულობა ეკონომიკურ სექტორებზე შემდეგნაირად ნაწილდება: განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა – 35.6 მლნ ლარი (25%); სხვა არა ლითონური მინერალური პროდუქტების წარმოება – 27 მლნ ლარი (19%); ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა – 14.6 მლნ ლარი (10%); კვების პროდუქტების წარმოება – 12 მლნ ლარი (8%); რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება – 11.7 მლნ ლარი (8%); სხვა დანარჩენი სექტორები – 44.5 მლნ ლარი (30%).

რეგიონების მიხედვით სააგენტოს თანადაფინანსებული სასესხო/სალიზინგო ხელშეკრულებების მოცულობის ყველაზე დიდი წილი მოდის თბილისის რეგიონზე – 66.1 მლნ ლარი (45%).

A4–4.4 იმ ბენეფიციარების პროცენტული წილი, რომელთაც განაცხადეს, რომ სააგენტოს დახმარების გარეშე ვერ შეძლებდნენ პროექტის განხორციელებას

აღწერა: ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციარების წილს, რომელთაც განაცხადეს, რომ სააგენტოს დახმარების გარეშე ვერ შეძლებდნენ პროექტის განხორციელებას

დროის პერიოდი: ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

კატეგორიზაცია: ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორებისა და რეგიონების მიხედვით

მონაცემთა წყარო: ბენეფიციართა კითხვარი, ბენეფიციართა მონაცემთა ბაზები

მიგნებები: სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები სააგენტოსგან დამოუკიდებლად, თუმცა მოგვიანებით, პროექტის განხორციელების საკუთარი შესაძლებლობების შეფასების შესახებ.

სააგენტოს ბენეფიციარი 137 კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით 65 კომპანია (47%) თვლის რომ სააგენტოს დახმარების გარეშე ვერ შეძლებდა პროექტის განხორციელებას. 56 ბენეფიციარი კომპანია (41%) თვლის რომ თავადაც შეძლებდნენ პროექტის განხორციელებას, 16 კომპანიას (12%) კი ნეიტრალურ პოზიცია გააჩნია.

რეგიონალურ ჭრილში ბენეფიციარ კომპანიათა პროცენტული განაწილება, რომლებიც თვლიან რომ სააგენტოს დახმარების გარეშე ვერ შეძლებდნენ პროექტის განხორციელებას შემდეგნაირია: თბილისი – 43% (28 კომპანია), რეგიონები – 57% (37 კომპანია).

A4–4.5 ფუნქციური ბენეფიციარების პროცენტული წილი

აღწერა: ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციარების წილს, რომელთაც განაცხადეს, რომ ფუნქციონირებენ

დროის პერიოდი: ინდიკატორი დათვლილია 2021 წლის ბოლოსთვის

<u>კატეგორიზაცია:</u> ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება კომპანიის ფუნქციონირების სტატუსის მიხედვით

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა კითხვარი, ბენეფიციართა მონაცემთა ბაზები

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები მათი სტატუსის შესახებ.

სააგენტოს ბენეფიციარი 166 კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ფუნქციურია 136 კომპანია (82%); 30 ბენეფიციარი კომპანია კი არ ფუნქციონირებს. მათგან: 1 კომპანია აღარ ფუნქციონირებს, 2 კომპანია არც ფუნქციონირებს და არც გახსნას გეგმავს, ხოლო 27 კომპანია არ ფუნქციონირებს თუმცა გახსნას გეგმავს.

A5-5.1 გაწეული ტექნიკური დახმარების რაოდენობა

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში გაწეული ტექნიკური დახმარების რაოდენობას

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2014-2021 წლისთვის

<u>კატეგორიზაცია:</u> ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორებისა და რეგიონების მიხედვით

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა მონაცემთა ბაზები

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ ინდიკატორი გამოითვალა ბენეფიციართა არსებული მონაცემთა ბაზის საშუალებით.

2014-2021 წლებში სააგენტომ ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში დააფინანსა 44 ბენეფიციარი კომპანიის 44 ხელშეკრულება. ეკონომიკურ სექტორებზე აღნიშნული პროექტების რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება: განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის სექტორში დაფინანსდა 9 კომპანია (20%); საკვები პროდუქტების წარმოების სექტორში 7 კომპანია (16%); ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა 6 კომპანია - (14%); სხვა დანარჩენი სექტორები - 22 კომპანია (50%). ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში სააგენტოს დაფინანსებული 23 კომპანია (52%) თბილისში ფუნქციონირებს.

A5-5.2 გაწეული ტექნიკური დახმარების მოცულობა

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში გაწეული ტექნიკური დახმარების მოცულობას

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2014-2021 წლების პერიოდისთვის

<u>კატეგორიზაცია:</u> ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორებისა და რეგიონების მიხედვით

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა მონაცემთა ბაზები

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ ინდიკატორი გამოითვალა ბენეფიციართა არსებული მონაცემთა ბაზის საშუალებით.

2014-2021 წლებში სააგენტომ ტექნიკური დახმარების ფარგლებში დააფინანსა 44 ბენეფიციარი კომპანია, ჯამურად 366.9 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული ეკონომიკურ სექტორებზე შემდეგნაირად ნაწილდება: კვების პროდუქტების წარმოების სექტორში დაფინანსებული ტექნიკური დახმარების ჯამური მოცულობა – 69.5 ათასი ლარი (19%); განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა– 53.6 ათასი ლარი (15%); ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა – 47.6 ათასი ლარი (13%); სასმელების წარმოება – 39.3 ათასი ლარი (11%); სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება – 36.6 ათასი ლარი (10%); სხვა დანარჩენი 120.3 ათასი ლარი (33%). ტექნიკური დახმარების ფარგლებში სააგენტოს დაფინანსების ჯამური მოცულობის 54%, 197.8 ათასი ლარი თბილისის რეგიონზე განაწილდა.

A6-6.1 საერთაშორისო ბრენდის თანადაფინანსების რაოდენობა

აღწერა: ინდიკატორი ზომავს სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში საერთაშორისო ბრენდის თანადაფინანსების რაოდენობას

დროის პერიოდი: ინდიკატორი დათვლილია 2014-2021 წლების პერიოდისთვის

მონაცემთა წყარო: ბენეფიციართა მონაცემთა ბაზები

მიგნებები: სააგენტომ ინდიკატორი გამოითვალა ბენეფიციართა არსებული მონაცემთა ბაზის საშუალებით.

2014-2021 წლებში საერთაშორისო ბრენდით თანადაფინანსების მექანიზმში ჩაერთო შემდეგი 4 კომპანია: შპს პარკ ჰოტელი; შპს სამზეო; შპს სასტუმრო თელავი; შპს პასკი.

A6-6.2 საერთაშორისო ბრენდის თანადაფინანსების მოცულობა

აღწერა: ინდიკატორი ზომავს სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში საერთაშორისო ბრენდის თანადაფინანსების მოცულობას

დროის პერიოდი: ინდიკატორი დათვლილია 2014-2021 წლების პერიოდისთვის

მონაცემთა წყარო: ბენეფიციართა მონაცემთა ბაზები

მიგნებები: სააგენტომ ინდიკატორი გამოითვალა ბენეფიციართა არსებული მონაცემთა ბაზის საშუალებით.

2014-2021 წლებში სააგენტოს მიერ საერთაშორისო ბრენდის კომპონენტის ფარგლებში 4 ბენეფიციარ კომპანიაზე გაცემული თანადაფინანსების თანხის მოცულობამ 1 მლნ ლარი შეადგინა.

OP5-5.1 თანადაფინანსებული ბენეფიციარების რაოდენობა

აღწერა: ინდიკატორი ზომავს სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში თანადაფინანსებული ბენეფიციარების რაოდენობას

დროის პერიოდი: ინდიკატორი დათვლილია 2014-2021 წლების პერიოდისთვის

<u>კატეგორიზაცია:</u> ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორებისა და რეგიონების მიხედვით

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა მონაცემთა ბაზები

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ ინდიკატორი გამოითვალა ბენეფიციართა არსებული მონაცემთა ბაზის საშუალებით.

2014-2021 წლებში სააგენტოს მიერ ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში დაფინანსდა 680 ბენეფიციარი კომპანია. აქედან სესხის/ლიზინგის თანადაფინანსების მექანიზმით ისარგებლა 680-მა კომპანიამ; ტექნიკური დახმარებისა და სესხის/ლიზინგის თანადაფინანსების კომპონენტებით 44 კომპანიამ; ხოლო 4-მა კომპანიამ ისარგებლა საერთაშორის ბრენდის თანადაფინანსებით.

თანადაფინანსებულ ბენეფიციართა ყველაზე მაღალი რაოდენობა მოდის შემდეგ ეკონომიკურ სექტორებზე: განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა – 148 ბენეფიციარი (22%); სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება – 132 კომპანია (19%); ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა – 52 კომპანია (8%); რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება – 52 კომპანია (8%); სხვა დანარჩენი სექტორები – 296 კომპანია (43%).

თანდაფინანსებულ ბენეფიციართა ყველაზე მაღალი წილი მოდის თბილისის რეგიონზე – 303 კომპანია (45%);

OP5-5.2 დამტკიცებული ახალი სესხების მოცულობა და ლიზინგის საგნის ღირებულება

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს ბანკების მიერ დამტკიცებული ახალი სესხების მოცულობასა და ლიზინგის საგნის ღირებულებას

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

<u>კატეგორიზაცია:</u> ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორებისა და რეგიონების მიხედვით

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა მონაცემთა ბაზები

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ ინდიკატორი გამოითვალა ბენეფიციართა არსებული მონაცემთა ბაზის საშუალებით.

2021 წელს დამტკიცებული ახალი სესხების მოცულობა და ლიზინგის საგნის ღირებულებები ჯამში 261 მლნ ლარს აღწევს. ეკონომიკური სექტორების ჭრილში დამტკიცებული სესხის/ლიზინგის ყველაზე დიდი წილი მოდის შემდეგ სექტორებზე: სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება – 38 მლნ ლარი (15%); ჯანდაცვის საქმიანობები – 33 მლნ ლარი (13%); განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა – 28 მლნ ლარი (11%); რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება – 24 მლნ ლარი (9%); ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება – 19 მლნ ლარი (7%), სხვა დანარჩენი სექტორები – 119 მლნ ლარი (45%).

რეგიონალურ ჭრილში კლასიფიკაცია 2021 წელს დამტკიცებული სასესხო/სალიზინგო თანხის მოცულობები შემდეგნაირად ნაწილდება: თბილისი – 40%; ქვემო ქართლი – 13%; მცხეთა-მთიანეთი – 12%; აჭარა – 10%.

OP5–5.3 ახალი სესხებისა და ლიზინგის თანადაფინანსების თანხის მოცულობა

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს სააგენტოს მიერ გაცემული სესხისა და ლიზინგის თანადაფინანსების თანხის მოცულობას

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

<u>კატეგორიზაცია:</u> ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორებისა და რეგიონების მიხედვით

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა მონაცემთა ბაზები

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ ინდიკატორი გამოითვალა ბენეფიციართა არსებული მონაცემთა ბაზის საშუალებით.

2021 წელს ახალი სესხებისა და ლიზინგის თანადაფინანსების თანხის მოცულობა ჯამში 10.2 მლნ ლარს აღწევს. ეკონომიკური სექტორების ჭრილში თანადაფინანსების ყველაზე დიდი წილი მოდის შემდეგ სექტორებზე: სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება – 1.8 მლნ ლარი (18%); ჯანდაცვის საქმიანობები – 1.6 მლნ ლარი (16%); რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება – 0.9 მლნ ლარი (9%); განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა – 0.9 მლნ ლარი (9%); ტექსტილის წარმოება – 0.9 მლნ ლარი (9%); ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება – 0.9 მლნ ლარი (9%); სხვა დანარჩენი სექტორები მთლიანი თანადაფინანსების თანხის 30%–ს შეადგენს.

რეგიონალურ ჭრილში 2021 წელს გაცემული სასესხო/სალიზინგო თანხის თანადაფინანსების მოცულობები შემდეგნაირად ნაწილდება: თბილისი – 44%; აჭარა – 16%; მცხეთა–მთიანეთი – 11%; ქვემო ქართლი – 10%.

OP6–6.1 იმ ბენეფიციარების პროცენტული წილი, რომელთაც განაცხადეს, რომ შეიძინეს ახალი ცოდნა

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციარების წილს, რომელთაც განაცხადეს, რომ შეიძინეს ახალი ცოდნა

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა კითხვარი

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები სააგენტოს დახმარებით მიღებული ცოდნის შესახებ.

სააგენტოს ბენეფიციარი 16 კომპანიისგან, მოწოდებული ინფორმაციით, კომპანიების 44% (7 კომპანია), მიიჩნევს რომ მარკეტინგის ან საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით მიიღეს ახალი ცოდნა და უნარები. კომპანიების 50% (8 კომპანია) ნეიტრალურია აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, 6% (1 კომპანია), კი მიიჩნევს რომ ახალი ცოდნა და უნარები არ მიუღია.

OP8-8.1 საერთაშორისო ბრენდის ხელშეკრულებების ფარგლებში გაცემული თანხის საშუალო მოცულობა

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციარი კომპანიებისთვის საერთაშორისო ბრენდის ხელშეკრულებების ფარგლებში გაცემული თანხების საშუალო მოცულობას

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2018-2021 წლების პერიოდისთვის

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა მონაცემთა ბაზები

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა არსებული ბაზები.

2018-2021 წლებში საერთაშორისო ბრენდის გადასახადის თანადაფინანსების ფარგლებში გაფორმდა 4 ხელშეკრულება და სააგენტოს მხრიდან გადაირიცხა 1 მილიონი ლარი. შესაბამისად, საშუალოდ 1 საერთაშორისო ხელშეკრულებაზე გადარიცხული თანხის მოცულობამ 255 ათასი ლარი შეადგინა.

IC4-4.1 ბენეფიციარი კომპანიების პროცენტული წილი, რომელთაც განაცხადეს, რომ სააგენტო დაეხმარა დამატებითი ფინანსების მოპოვებაში

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციარების წილს, რომელთაც განაცხადეს, რომ სააგენტო დაეხმარა დამატებითი ფინანსების მოპოვებაში

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

<u>კატეგორიზაცია:</u> ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორებისა და რეგიონების მიხედვით

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა კითხვარი

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები სააგენტოს დახმარებით დამატებით მოპოვებული ფინანსების შესახებ.

სააგენტოს ბენეფიციარი 137 კომპანიისგან მოწოდებული ინფორმაციით კომპანიების 79% (108 კომპანია), მიიჩნევს, რომ სააგენტო დაეხმარა დამატებითი ფინანსების მოპოვებაში. კომპანიების 15% (20 კომპანია) ნეიტრალურია აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, 7% (9 კომპანია) კი მიიჩნევს, რომ სააგენტო არ დახმარებია დამატებითი ფინანსების მოპოვებაში.

108 ბენეფიციარი კომპანია, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სააგენტო დაეხმარათ დამატებითი ფინანსების მოპოვებაში ეკონომიკური სექტორულ ჭრილში ნაწილდება ისე, რომ თითოეულ სექტორში მათი წილი უტოლდება ან აღემატება 50%-ს (გარდა სხვა მზა ნაკეთობების წარმოებისა - 1 კომპანია (ნეიტრალურია)), აქედან, ქიმიკატებისა და ქიმიური პროდუქტების წარმოება - 50%; ელექტრონული მოწყობილობების წარმოება 50%; ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანებისა და მოწყობილობების გარდა - 64%. ამ სექტორების გარდა ყველა სექტორში აღნიშნული მაჩვენებელი აღემატება 75%-ს.

ბენეფიციარი კომპანიების წილი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სააგენტო დაეხმარა დამატებით ფინანსების მოპოვებაში, გეოგრაფიულ ჭრილში, აღემატება 50%-ს თითოეულ რეგიონში.

OC4-4.2 კომპანიების პროცენტული წილი, რომელთაც დაადასტურეს გაფართოება

აღწერა: ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციარების წილს, რომელთაც დაადასტურეს გაფართოება

დროის პერიოდი: ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

მონაცემთა წყარო: ბენეფიციართა კითხვარი

მიგნებები: სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები გაფართოების შესახებ.

სააგენტოს ბენეფიციარი 136 კომპანიისგან მოწოდებული ინფორმაციით, კომპანიების 92%-მა (125 კომპანია), დაადასტურა გაფართოება; 8 კომპანია (6%) ნეიტრალურია; 3 კომპანია (2%) აცხადებს რომ არ გაფართოებულა.

OC5-5.1 ბენეფიციარების პროცენტული წილი, რომელთაც გაიუმჯობესეს ბიზნეს პროცესები და სტრატეგიები

აღწერა: ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციარების წილს, რომელთაც ბიზნეს პროცესებისა და სტრატეგიების გაუმჯობესება დაადასტურეს

დროის პერიოდი: ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

მონაცემთა წყარო: ბენეფიციართა კითხვარი

მიგნებები: სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები ბიზნეს პროცესების და სტრატეგიების გაუმჯობესების შესახებ.

სააგენტოს ბენეფიციარი 16 კომპანიისგან მოწოდებული ინფორმაციით კომპანიების 63%-მა (10 კომპანია), განაცხადა რომ მათ შეძლეს გაეუმჯობესებინათ ბიზნეს პროცესები და სტრატეგიები. ბენეფიციარი კომპანიების 37% ნეიტრალურია აღნიშნული საკითხის მიმართ.

OC6-6.1 სასტუმროებში ახალი ოთახების რაოდენობა

აღწერა: ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციარ სასტუმროებში ახალი ოთახების რაოდენობას

დროის პერიოდი: ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

კატეგორიზაცია: ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება რეგიონების მიხედვით

მონაცემთა წყარო: ბენეფიციართა კითხვარი

მიგნებები: სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები ოთახების რაოდენობის შესახებ სააგენტოს დაფინანსებამდე და შემდეგ.

2020 წელს სააგენტოს ბენეფიციარ სასტუმროებში ჯამურად 455 ოთახი იყო, 2021 წელს იმავე მონაცემმა 1,387 ოთახი შეადგინა. წინა წელთან შედარებით აღნიშნული მონაცემი გაზრდილია 932 ოთახით – 205%. ოთახების რაოდენობის ზრდა რეგიონებზე შემდეგნაირად ნაწილდება: კახეთი – 278 ოთახი; აჭარა – 251 ოთახი; მცხეთა-მთიანეთი – 165 ოთახი. ნაზრდი 238 ოთახი სხვა დანარჩენ რეგიონებზე ნაწილდება.

OC6-6.2 სასტუმროებში ოთახების საშუალო რაოდენობა

აღწერა: ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციარ სასტუმროებში ოთახების საშუალო რაოდენობას

დროის პერიოდი: ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

კატეგორიზაცია: ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება რეგიონების მიხედვით

მონაცემთა წყარო: ბენეფიციართა კითხვარი

მიგნებები: სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები ფუნქციონირებად სასტუმროებში ოთახების რაოდენობის შესახებ.

2021 წელს ერთ ფუნქციურ ბენეფიციარ სასტუმროში საშუალოდ 41 ოთახი იყო განთავსებული. აჭარის რეგიონში ერთ ბენეფიციარ სასტუმროზე საშუალოდ 90 ოთახი იყო, ხოლო იმერეთის რეგიონში – 55 ოთახი; სხვა რეგიონების საშუალო ოთახების რაოდენობა ნაკლებია საქართველოს საშუალო მონაცემზე (41 ოთახი).

OC6-6.3 ახალი სასტუმროების დივერსიფიკაცია რეგიონების მიხედვით

აღწერა: ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ახალი ბენეფიციარი სასტუმროების დივერსიფიკაციას რეგიონების მიხედვით

დროის პერიოდი: ინდიკატორი დათვლილია 2016-2021 წლების პერიოდისთვის

კატეგორიზაცია: ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება რეგიონების მიხედვით

მონაცემთა წყარო: ბენეფიციართა მონაცემთა ბაზები

მიგნებები: სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას, ახალი სასტუმროების რაოდენობა ჩაშალა რეგიონებისა და წლების მიხედვით.

2015- 2021 წლებში ინდუსტრიულ ნაწილის ფარგლებში ხელშეკრულება დაიდო 131 ახალ სასტუმროსთან. მათგან 24% (31 სასტუმრო) იყო კახეთის რეგიონში; 16% (21 სასტუმრო) – სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში; 13% (17 სასტუმრო) – მცხეთა-მთიანეთის რეგიონში; 13% (17 სასტუმრო) – სამცხე-ჯავახეთში; სააგენტოს მიერ დაფინანსებულ ახალ სასტუმროთა 34% (45 სასტუმრო) სხვა დანარჩენ რეგიონებზე ნაწილდება.

OC7-7.1 საერთაშორისო ბრენდის მქონე ახალი სასტუმროებისა და კურორტების რაოდენობა

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს სააგენტოს საერთაშორისო ბრენდის მქონე ახალი სასტუმროებისა და კურორტების რაოდენობას

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2015-2021 წლების პერიოდისთვის

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა მონაცემთა ბაზები

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ 2021 წელს საერთაშორის ბრენდის პროექტის ფარგლებში ხელშეკრულება გააფორმა მხოლოდ ერთ ახალ კომპანიასთან - შპს „აგროგანვითარება". თუმცა აღნიშნულის ფარგლებში დაფინანსება ჯერ არ გაუცია.

OC7-7.2 ახალი საერთაშორისო ბრენდების რაოდენობა

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციარების მიერ ბაზარზე შემოყვანილი ახალი საერთაშორისო ბრენდების რაოდენობას

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა კითხვარი

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციარების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ბაზარზე ახალი საერთაშორისო ბრენდის შემოყვანის შესახებ.

ბენეფიციართა მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მათ 2021 წელს არ გაუფორმებიათ ხელშეკრულება ახალ საერთაშორისო ბრენდთან.

2. ექსპორტის მხარდამჭერი აქტივობები

2.1 აქტივობების აღწერა

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ექსპორტის დეპარტამენტი ახორციელებს ექსპორტზე ორიენტირებული ქართული კომპანიების მხარდამჭერ აქტივობებს, რომელთა მიზანია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია, ქართული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდა საერთაშორისო ბაზრებზე, ქართული პროდუქტების ექსპორტის მოცულობის ზრდა და საქართველოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება.
სააგენტო ამ მიმართულებით ახორციელებს შემდეგ ძირითად აქტივობებს: ექსპორტზე ორიენტირებული ქართული კომპანიებისთვის საერთაშორისო ღონისძიებებსა და გამოფენებში მონაწილეობის თანხის თანადაფინანსება და პლატფორმაზე TradewithGeorgia.com გამოქვეყნება. აქტივობების სტატისტიკა 2014–2021წლებისთვის იხ. ცხრილში 2.

ცხრილი 2: სტატისტიკა 2014–2021 წლები

კატეგორია	**ბენეფიციართა რაოდენობა**	**გაცემული თანადაფინანსების მოცულობა (მლნ ლარი)**
საერთაშორისო ღონისძიებები და გამოფენები	287	11.5
TradewithGeorgia.com	540	–
სულ	**827**	**11.5**

2.2 მეთოდოლოგია

2.2.1 ინდიკატორების კატალოგის შემუშავება

ექსპორტის მხარდამჭერი აქტივობების შეფასებისთვის შემუშავებულია 16 ინდიკატორი. ინდიკატორები იყოფა გავლენისა და დეპარტამენტის დონეებად. გავლენის დონის ინდიკატორები საშუალო ვადიანია და განსაზღვრავს სააგენტოს ძირითად შედეგებს. დეპარტამენტის დონის ინდიკატორები განსაზღვრავს შესაბამისი პროგრამის იდენტიფიცირებულ შედეგებსა და აქტივობებს.

2.2.1.1 გავლენის დონე

სააგენტოს მიერ განისაზღვრა გავლენის დონის 3 ინდიკატორი:

I1–1.4 ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა (სრული განაკვეთის ექვივალენტი)

I5–5.1 პროცენტული ცვლილება ბენეფიციარი კომპანიების ექსპორტის მოცულობაში

I5–5.2 ბენეფიციარი კომპანიების მიერ ექსპორტის დივერსიფიცირება ბაზრების მიხედვით

2.2.1.2 დეპარტამენტის დონე

დეპარტამენტის შესაბამისი პროგრამის დონეზე ექსპორტის მხარდამჭერი აქტივობების შეფასებისთვის განისაზღვრა 13 ინდიკატორი:

A2–2.1 იმ ბენეფიციარების პროცენტული წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ სააგენტოს დახმარების გარეშე ვერ შეძლებდნენ უცხოელ პარტნიორებთან კონტაქტის დამყარებას

A2–2.2 თანადაფინანსებული საერთაშორისო ღონისძიებებისა და გამოფენების რაოდენობა

A2–2.3 საერთაშორისო ღონისძიებებსა და გამოფენებში მონაწილეობის თანხის თანადაფინანსების მოცულობა

A3–3.1 კომპანიების რაოდენობა, რომელთაც მიიღეს დახმარება EEN პლატფორმაზე დარეგისტრირებისთვის

OP2–2.1 იმ მხარდაჭერილი კომპანიების პროცენტული წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ ჰქონდათ კონტაქტი ახალ უცხოელ შემსყიდვლებთან

OP2–2.2 მხარდაჭერილ კომპანიებსა და უცხოელ შემსყიდვლებს შორის ინიცირებული ახალი პარტნიორობების რაოდენობა

OP3–3.1 საერთაშორისო ღონისძიებებსა და გამოფენებზე წარდგენილი პროდუქტების/სერვისების რაოდენობა

OP4–4.1 საერთაშორისო ღონისძიებებსა და გამოფენებზე წარდგენილი მხარდაჭერილი კომპანიების რაოდენობა

OC5–5.1 იმ ბენეფიციარების რაოდენობა, რომლებიც აცხადებენ, რომ შეიძინეს ახალი ცოდნა საერთაშორისო სტანდარტებისა და ინოვაციების შესახებ

OC6–6.1 მხარდაჭერილ კომპანიებსა და საერთაშორისო შემსყიდვლებს შორის შემდგარი b2b შეხვედრების რაოდენობა

OC7–7.2 მხარდაჭერილი კომპანიების პროცენტული წილი, რომელთაც დაადასტურეს, სააგენტოს წვლილი საკუთარი ექსპორტის ზრდაში

OC8–8.1 TradewithGeorgia.com პლატფორმის მეშვეობით კომპანიების მიერ დარეპორტებული ‘მეტჩმეიქინგების’ რაოდენობა

OC8–8.2 TradewithGeorgia.com პლატფორმაზე გამოქვეყნებული კომპანიების პროცენტული წილი, რომლებიც გამოხატავენ კმაყოფილებას პლატფორმით

2.2.2 მონაცემთა შეგროვების პროცესი

2.2.2.1 ბენეფიციართა კითხვარი

ბენეფიციარებისგან მონაცემთა შეგროვების მიზნით, სააგენტომ შეიმუშავა კითხვარი რომელიც მოიცავს შემდეგი შინაარსის კითხვებს:

- ბენეფიციარის ეკონომიკური მაჩვენებლები
- ბენეფიციარის სააგენტოს დახმარებით კმაყოფილების დონე

კითხვარი დაეგზავნა ექსპორტის მხარდამჭერი აქტივობების 65 ბენეფიციარს. კითხვარი შეავსო 36–მა ბენეფიციარმა.

2.2.3 მონაცემების დახარისხება

2.2.3.1 მონაცემთა გაწმენდა და დაჯგუფება

სააგენტომ ფინანსური მაჩვენებლებისა და დასაქმების მონაცემები გაასუფთავა ხარვეზიანი ელემენტებისგან. ეკონომიკური და საოპერაციო ანალიზის კუთხით დამუშავდა ბენეფიციართა შემდეგი მონაცემები:

- დასაქმება
- ექსპორტის მოცულობა
- საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია
- B2b შეხვედრების რაოდენობა
- უცხოელ პარტნიორებთან დამყარებული კონტაქტების რაოდენობა
- TradewithGeorgia.com პლატფორმაზე გამოქვეყნების შედეგად წარმატებული 'მეტჩმეიქინგების' რაოდენობა

თითოეული ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლისთვის გაკეთდა შემდეგი მატრიცები:

- ეკონომიკური სექტორების მიხედვით (NACE Rev2)
- ექსპორტის განხორციელების წლების მიხედვით (2020–2021)
- რეგიონების მიხედვით

2.3 ინდიკატორების გამოთვლა, ანალიზი და შეფასება

2.3.1 გავლენის დონე

I1–1.4 ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა (სრული განაკვეთის ექვივალენტი)

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციარ კომპანიებში სრული განაკვეთით დასაქმებულ ახალ თანამშრომელთა რაოდენობას

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

<u>კატეგორიზაცია:</u> ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორების, რეგიონების, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა კითხვარი

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები სრული განაკვეთის ექვივალენტზე დასაქმებული თანამშრომელთა რაოდენობების შესახებ 2020 და 2021 წლებში. სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელი ექვივალენტურია 1 ერთეულის, ხოლო არასრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელს ერთეული ენიჭება დასაქმების საათების პროპორციულად. მაგ: 40 სამუშაო საათი კვირაში – 1 ერთეული; ხოლო 20 სამუშაო საათი კვირაში – 0.5 ერთეული.

2021 წელს 2020 წელთან შედარებით სრული განაკვეთის ექვივალენტზე დასაქმებულ თანამშრომელთა ჯამური რაოდენობა 9%-ით, 86 თანამშრომლით გაიზარდა. თანამშრომელთა ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა შემდეგ ეკონომიკურ სექტორებში: სასმელების წარმოება - 26%-ით 64 თანამშრომელი; ტანსაცმლის წარმოება - 8% 15 თანამშრომელი; ტყავი და მასთან დაკავშირებული ნაწარმის წარმოება - 44%-ით 7 თანამშრომელი. რეგიონულ ჭრილში ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა: კახეთი - 33%-ით 78 თანამშრომელი; გურია - 25%-ით 27 თანამშრომელი; თბილისი - 10% 26 თანამშრომელი. დასაქმებულთა რაოდენობა ყველაზე მეტად შემცირდა შიდა ქართლში 26%-ით 36 თანამშრომელი. გამოკითხულ კომპანიებში ქალ თანამშრომელთა წილი 2021 წელს იყო 61%.





რაც შეეხება თანამშრომელთა ასაკობრივ გადანაწილებას, მათი 53% მიეკუთვნება



30-49 წლის რანჟს.

I5-5.1 პროცენტული ცვლილება ბენეფიციარი კომპანიების ექსპორტის მოცულობაში

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციარ კომპანიებში ექსპორტის მოცულობის პროცენტული ცვლილებას

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

<u>კატეგორიზაცია:</u> ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორებისა და რეგიონების მიხედვით

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა კითხვარი

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები 2020 და 2021 წლებში განხორციელებული ექსპორტის მოცულობების შესახებ.

გამოკითხულ ბენეფიციართა მიერ 2021 წელს განხორციელებული ექსპორტის მოცულობამ შეადგინა 67 მლნ ლარი, რაც წინა წლის მონაცემთან შედარებით გაზრდილია 18 მლნ ლარით – 36%. გამოკითხულ ბენეფიციართა შორის საერთაშორისო ღონისძიებებსა და გამოფენებში მონაწილეობა მიიღო 28 ბენეფიციარმა, ასევე 28 ბენეფიციარი იყო გამოქვეყნებული TradewithGeorgia.com პლატფორმაზე.

იმ 28 ბენეფიციართაგან, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ღონისძიებებსა და გამოფენებში 20-მა 2020 და 2021 წლებში განახორციელეს ექსპორტი, შესაბამისად 43.8 მლნ და 65.5 მლნ ლარის მოცულობით. სააგენტომ აღნიშნულ ბენეფიციართა ნაწილის საერთაშორისო ღონისძიებებსა და გამოფენებში მონაწილეობის თანხის თანადაფინანსება მოახდინა 2019 წელსაც 422 ათასი ლარის მოცულობით (15 ბენეფიციარი), რაც 23%-ით გაიზარდა 2020 წელს (28 ბენეფიციარი) და შემცირდა 43%-ით 2021 წელს (13 ბენეფიციარი).

ექსპორტის მოცულობის ზრდა დაფიქსირდა ყველა სექტორში, ყველაზე მეტად – 38% (10 მლნ ლარი) კვების პროდუქტების წარმოება. აღნიშნულის წილი ექსპორტის მოცულობის მთლიან ნაზრდში შეადგენს 56%-ს. ზრდა დაფიქსირდა ასევე ყველა რეგიონში, თუმცა ყველაზე მეტად – 54% (8 მლნ ლარი) გურიასა და 38% (6 მლნ ლარი) კახეთში. ექსპორტის მოცულობის მთლიან ნაზრდში, აღნიშნული ორი რეგიონის წილი შეადგენს 80%-ს.





I5-5.2 ბენეფიციარი კომპანიების მიერ ექსპორტის დივერსიფიცირება ბაზრების მიხედვით

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციარ კომპანიებში ექსპორტის დივერსიფიკაციას ბაზრების მიხედვით

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2020-2021 წლებისთვის

<u>კატეგორიზაცია:</u> ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება საექსპორტო ბაზრების მიხედვით

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა კითხვარი

<u>მიგნებები:</u> გამოკითხული 36 ბენეფიციარი 2020 წელს ექსპორტს ახორციელებდა 9 ბაზარზე. სულ დაფიქსირდა ექსპორტირების 67 ფაქტი, რაც 2021 წელს გაიზარდა 5-ით (7%). ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა დსთ-ს ქვეყნებში - ექსპორტირების 3 ფაქტი 25% და აშშ-ში - ექსპორტირების 2 ფაქტი 18%. ევროკავშირსა და სპარსეთის ყურის ქვეყნებში ექსპორტირების ფაქტები შემცირდა 2-ით.





2.3.2 დეპარტამენტის დონე

A2-2.1 იმ ბენეფიციარების პროცენტული წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ სააგენტოს დახმარების გარეშე ვერ შეძლებდნენ უცხოელ პარტნიორებთან კონტაქტის დამყარებას

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციარების წილს, რომელთაც განაცხადეს, რომ სააგენტოს დახმარების გარეშე ვერ შეძლებდნენ უცხოელ პარტნიორებთან კონტაქტის დამყარებას

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა კითხვარი

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები სააგენტოსგან დამოუკიდებლად უცხოელ პარტნიორებთან კონტაქტის დამყარების საკუთარი შესაძლებლობების შეფასების შესახებ.

გამოკითხულ ბენეფიციართა 44%-მა, 16 კომპანია, განაცხადეს, რომ სააგენტოს დახმარების გარეშე ვერ შეძლებდნენ წარმატებით დაემყარებინათ კონტაქტი უცხოელ პარტნიორებთან. ამასთან 22%, 8 კომპანია ნეიტრალურად არის განწყობილი სააგენტოს დახმარების მიმართ, ხოლო დანარჩენი 34% აცხადებს, რომ სააგენტოს დახმარების გარეშეც შეძლებდა დაემყარებინა კონტაქტი უცხოელ პარტნიორებთან.

A2-2.2 თანადაფინანსებული საერთაშორისო ღონისძიებებისა და გამოფენების რაოდენობა

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს სააგენტოს მიერ თანადაფინანსებული საერთაშორისო ღონისძიებებისა და გამოფენების რაოდენობას

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2014-2021 წლების პერიოდისთვის

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა მონაცემთა ბაზები

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ 2014-2021 წლებში დააფინანსა ბენეფიციარების მონაწილეობა 89 ღონისძიება/გამოფენაში.

A2-2.3 საერთაშორისო ღონისძიებებსა და გამოფენებში მონაწილეობის თანხის თანადაფინანსების მოცულობა

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს სააგენტოს მიერ საერთაშორისო ღონისძიებებისა და გამოფენებში მონაწილეობისთვის გაცემული თანადაფინანსების თანხის მოცულობას

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2014-2021 წლების პერიოდისთვის

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა მონაცემთა ბაზები

<u>მიგნებები:</u> ჯამურად სააგენტოს მიერ საერთაშორისო ღონისძიებებისა და გამოფენებში მონაწილეობისთვის გაცემული თანადაფინანსების თანხა შეადგენს 11.5 მლნ ლარს.

A3-3.1 კომპანიების რაოდენობა, რომელთაც მიიღეს დახმარება EEN პლატფორმაზე დარეგისტრირებისთვის

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს იმ ბენეფიციარების რაოდენობას, რომელთაც სააგენტოსგან მიიღეს დახმარება EEN პლატფორმაზე დარეგისტრირებისთვის

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

<u>კატეგორიზაცია:</u> ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორებისა და რეგიონების მიხედვით

მონაცემთა წყარო: ბენეფიციართა კითხვარი

მიგნებები: გამოკითხულ ბენეფიციართა 25%, 9 კომპანია, აცხადებს, რომ სააგენტოსგან მიიღეს დახმარება EEN პლატფორმაზე დარეგისტრირებისთვის. აღნიშნული კომპანიებიდან ყველა ფუნქციონირებს 3 სექტორში: კვების პროდუქტების წარმოება – 5 კომპანია; სასმელების წარმოება – 1 კომპანია და ტანსაცმლის წარმოება 3 კომპანია. აქედან 4 კომპანია ფუნქციონირებს თბილისში.

OP2–2.1 იმ მხარდაჭერილი კომპანიების პროცენტული წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ ჰქონდათ კონტაქტი ახალ უცხოელ შემსყიდვლებთან

აღწერა: ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციარების წილს, რომელთაც განაცხადეს, რომ ჰქონდათ კონტაქტი ახალ უცხოელ შემსყიდვლებთან

დროის პერიოდი: ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

კატეგორიზაცია: ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორებისა და რეგიონების მიხედვით

მონაცემთა წყარო: ბენეფიციართა კითხვარი

მიგნებები: საერთაშორისო ღონისძიებებსა და გამოფენებში მონაწილე გამოკითხული 28 ბენეფიციარიდან 24–მა განაცხადა, რომ დაამყარა კონტაქტი უცხოელ შემსყიდვლებთან. ყველაზე მეტი ბენეფიციარი ახალი კონტაქტებით ფუნქციონირებს შემდეგ სექტორებში: ტანსაცმლის წარმოება – 12 კომპანია და კვების პროდუქტების წარმოება – 8 კომპანია. რეგიონულ ჭრილში 14 კომპანია ფუნქციონირებს თბილისში.

OP2–2.2 მხარდაჭერილ კომპანიებსა და უცხოელ შემსყიდვლებს შორის ინიცირებული ახალი პარტნიორობების რაოდენობა

აღწერა: ინდიკატორი ზომავს სააგენტოს ბენეფიციარებსა და უცხოელ შემსყიდვლებს შორის ინიცირებული ახალი პარტნიორობების რაოდენობას

დროის პერიოდი: ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

კატეგორიზაცია: ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორებისა და რეგიონების მიხედვით

მონაცემთა წყარო: ბენეფიციართა კითხვარი

მიგნებები: საერთაშორისო ღონისძიებებსა და გამოფენებში მონაწილე გამოკითხულმა 28 ბენეფიციარიდან 19–მა განაცხადა, რომ დააინიცირა ახალი პარტნიორობა უცხოელ შემსყიდველთან. აქედან 9 კომპანიას ჰყავს მხოლოდ ერთი ახალი პარტნიორი, ხოლო 10–ს რამდენიმე. სექტორულ ჭრილში ყველაზე მეტი ბენეფიციარი ახალი პარტნიორებით ფუნქციონირებს შემდეგ ეკონომიკურ სექტორებში: ტანსაცმლის წარმოება – 11 კომპანია და კვების პროდუქტების წარმოება – 6 კომპანია. რეგიონულ ჭრილში, ყველაზე მეტი ბენეფიციარი ახალი პარტნიორებით – 11 კომპანია – ფუნქციონირებს თბილისში.

OP3-3.1 საერთაშორისო ღონისძიებებსა და გამოფენებზე წარდგენილი პროდუქტების/სერვისების რაოდენობა

აღწერა: ინდიკატორი ზომავს ბენეფიციარების მიერ საერთაშორისო ღონისძიებებსა და გამოფენებზე წარდგენილი პროდუქტების/სერვისების რაოდენობას

დროის პერიოდი: ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

კატეგორიზაცია: ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორებისა და რეგიონების მიხედვით

მონაცემთა წყარო: ბენეფიციართა კითხვარი

მიგნებები: გამოკითხულმა 28 ბენეფიციარმა განაცხადა, რომ საერთაშორისო ღონისძიებებსა და გამოფენებზე წარადგინეს 834 პროდუქტი ან სერვისი. აქედან, ტანსაცმლის წარმოების სექტორში ფუნქციონირებადმა კომპანიებმა წარადგინეს 667 პროდუქტი – 80%. რეგიონულ ჭრილში, თბილისში ფუნქციონირებდმა კომპანიებმა წარდგინეს 693 პროდუქტი – 83%.

OP4-4.1 საერთაშორისო ღონისძიებებსა და გამოფენებზე წარდგენილი მხარდაჭერილი კომპანიების რაოდენობა

აღწერა: ინდიკატორი ზომავს სააგენტოს მიერ საერთაშორისო ღონისძიებებსა და გამოფენებზე თანადაფინანსებული კომპანიების რაოდენობას

დროის პერიოდი: ინდიკატორი დათვლილია 2014-2021 წლების პერიოდისთვის

მონაცემთა წყარო: ბენეფიციართა მონაცემთა ბაზები

მიგნებები: 2014-2021 წლებში სააგენტოსგან საერთაშორისო ღონისძიებებსა და გამოფენებში მონაწილეობის თანხის თანადაფინანსება მიიღო 287-მა კომპანიამ.

OC5-5.1 იმ ბენეფიციარების რაოდენობა, რომლებიც აცხადებენ, რომ შეიძინეს ახალი ცოდნა საერთაშორისო სტანდარტებისა და ინოვაციების შესახებ

აღწერა: ინდიკატორი ზომავს იმ ბენეფიციარების რაოდენობას, რომლებიც განაცხადეს, რომ შეიძინეს ახალი ცოდნა საერთაშორისო სტანდარტებისა და ინოვაციების შესახებ

დროის პერიოდი: ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

კატეგორიზაცია: ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორების მიხედვით

მონაცემთა წყარო: ბენეფიციართა კითხვარი

<u>მიგნებები:</u> საერთაშორისო ღონისძიებებსა და გამოფენებში მონაწილე გამოკითხულმა 28 ბენეფიციარიდან 25–მა კომპანიამ განაცხადა, რომ შეიძინეს ახალი ცოდნა საერთაშორისო სტანდარტებისა და ინოვაციების შესახებ. აქედან 13 კომპანია ფუნქციონირებს ტანსაცმლის წარმოების, ხოლო 8 კომპანია – კვების წარმოების სექტორში.

OC6–6.1 მხარდაჭერილ კომპანიებსა და საერთაშორისო შემსყიდვლებს შორის შემდგარი b2b შეხვედრების რაოდენობა

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს ბენეფიციარებსა და საერთაშორისო შემსყიდვლებს შორის შემდგარი b2b შეხვედრების რაოდენობას

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

<u>კატეგორიზაცია:</u> ინდიკატორის კატეგორიზაცია ხდება სექტორებისა და რეგიონების მიხედვით

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა კითხვარი

<u>მიგნებები:</u> საერთაშორისო ღონისძიებებსა და გამოფენებში მონაწილე გამოკითხული 28 ბენეფიციარიდან 24–მა კომპანიამ განაცხადა, რომ ჰქონდა b2b შეხვედრები საერთაშორისო შემსყიდვლებთან. სულ შედგა 228 b2b შეხვედრა. ტანსაცმლის წარმოების სექტორის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს 122 შეხვედრა – 54%. თბილისში ფუნქციონირებადმა კომპანიებმა დააფიქსირეს 124 შეხვედრა – 54%.

OC7–7.2 მხარდაჭერილი კომპანიების პროცენტული წილი, რომელთაც დაადასტურეს, სააგენტოს წვლილი საკუთარი ექსპორტის ზრდაში

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს იმ კომპანიათა პროცენტულ წილს, რომელთაც დაადასტურეს სააგენტოს წვლილი მათი ექსპორტის ზრდაში

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა კითხვარი

<u>მიგნებები:</u> საერთაშორისო ღონისძიებებსა და გამოფენებში მონაწილე გამოკითხული 28 ბენეფიციარიდან 21–მა კომპანიამ განაცხადა, რომ სააგენტომ შეიტანა წვლილი მათი ექსპორტის ზრდაში. აღნიშნული კომპანიების ექსპორტის მოცულობა 2021 წელს 2020 წელთან შედარებით გაიზარდა 16 მლნ ლარით – 43%, რაც შეადგენს ექსპორტის მოცულობის მთლიანი ნაზრდის 92%–ს.

OC8–8.1 TradewithGeorgia.com პლატფორმის მეშვეობით კომპანიების მიერ დარეპორტებული ‘მეტჩმეიქინგების’ რაოდენობა

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს TradewithGeorgia.com პლატფორმის მეშვეობით ბენეფიციარების მიერ დარეპორტებული ‘მეტჩმეიქინგების’ რაოდენობას

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა კითხვარი

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები TradewithGeorgia.com პლატფორმის მეშვეობით განხორციელებული 'მეტჩმეიქინგების' შესახებ.

პლატფორმაზე დარეგისტრირებული 28 კომპანიიდან 7–მა კომპანიამ განაცხადა, რომ ჰქონდა 11 'მეტჩმეიქინგი'.

OC8–8.2 TradewithGeorgia.com პლატფორმაზე გამოქვეყნებული კომპანიების პროცენტული წილი, რომლებიც გამოხატავენ კმაყოფილებას პლატფორმით

<u>აღწერა:</u> ინდიკატორი ზომავს TradewithGeorgia.com პლატფორმაზე გამოქვეყნებული იმ კომპანიების წილს, რომლებიც გამოხატავენ კმაყოფილებას პლატფორმით

<u>დროის პერიოდი:</u> ინდიკატორი დათვლილია 2021 წლისთვის

<u>მონაცემთა წყარო:</u> ბენეფიციართა კითხვარი

<u>მიგნებები:</u> სააგენტომ ინდიკატორის დათვლისას გამოიყენა ბენეფიციართა მიერ მოწოდებული მონაცემები TradewithGeorgia.com პლატფორმით კმაყოფილების შესახებ.

პლატფორმაზე დარეგისტრირებული 28 კომპანიიდან 17–მა კომპანიამ განაცხადა, რომ კმაყოფილია პლატფორმით TradewithGeorgia.com.

აწარმოე საქართველოში

დ. უზნაძის ქუჩა N18. თბილისი, საქართველო

ელ-ფოსტა: info@enterprise.gov.ge

ცხელი ხაზი: 1525

ტელ: + 995 32 296 00 10

enterprise.gov.ge